

თამარ კაკაურიძე



ლურჯი ფრინველი

თამარ კაკაურიძე

ლუჩა ფინველი



გამომცემლობა „მერანი“
თბილისი 2025 წ.

მთავარი რედაქტორი:	მანანა გორგიშვილი
რედაქტორი:	ნინო როსტიაშვილი
ყდის მხატვარი:	ხათუნა არჩვაძე
დამკაბადონებელი:	თამარ ტყაბლაძე

ISBN 978-9941-9946-4-7

იღუმალი სეზდით სავსე

*ყველა გზების დასასრული სიყვარულის ფესვია,
შვილი, მინა და ტაძარი გველოდება ემიგრანტს...
თამარ კაკაურიძე*

ყოველი ახალი წიგნის გამოცემა მეტად სასიხარულო, მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული მოვლენაა ავტორისთვის და ასევე მკითხველისთვის, განსაკუთრებით, როდესაც ლექსთა კრებულზეა საუბარი, რადგან სწორედ პოეზიით ახერხებენ ხშირად საკუთარი გრძნობების, ემოციების, შთაბეჭდილებების გადმოცემას.

ამჯერად მკაცრი და მიუკერძოებელი ქართველი მკითხველის წინაშე თამარ კაკაურიძის ლექსთა კრებულია - „ლურჯი ფრინველი“, სადაც იგი გულწრფელად გვეუბნება:

უბრალოდ სიტყვა არ შეფერის ამ ცივ ზმანებას...

თუნდაც ერთი დღე რომ დაბრუნდეს

შენთან შეხვედრის,

ანდა ხვალ დილით ემიგრანტი ქალი არ მერქვას!

დიახ, ემიგრანტი ქალის წიგნი უნდა წარმოგიდგინოთ, რაც ასე მტკივნეული და ჩვენი ბოლოდროინდელი რეალობის სახეა. ოცდაათ წელზე მეტია დამოუკიდებლობამოპოვებული სახელმწიფოს აღმშენებლობის პირობებში ვცხოვრობთ და მოუთმენლად ველით გვირაბის ბოლოს სინათლის გამოჩენას. ბევრი ჩვენი თანამემამულე წლების მანძილზე სამშობლოსგან შორს ცხოვრობს, რათა საკუთარ ოჯახს, სამშობლოს, ახლობლებს დაეხმაროს მატერიალური პრობლემების მოგვარებაში. დიახ, ბოლო ხანს ხომ ძალიან ბევრი ადამიანი აღმოჩნდა საზღვრებს მიღმა და ბევრმა სწორედ იქ დაიწყო საკუთარი განცდის და ტკივილის ლექსად გადმოცემა, წიგნებად აკინძვა, სადაც ისინი ჩვენი რეალობისა და ყოველდღიურობის შუქ-ჩრდილების აღწერით ცდილობენ დაგვანახონ ის მანკიერებები და უარყოფითი მოვლენები, რაც ბოლო წლების ისტორიულმა ქართველებმა მოგვითხანა.

კითხულობ თამარ კაკაურიძის ლექსებს და თითოეული ფურცლიდან უკვე განცდილსა და გადატანილ სატკივარს იხსენებ, რომელიც ჩვენი უახლოესი წარსულის თუ დღევანდელობის ტკივილის, პოლიტიკური კატაკლიზმების და ბოლო დროს რეალობაში გამეფებული მოუგვარებელი პრობლემების გამოძახილია:

ჩვენო თვალხატულა სიზმრის დედოფალო,
შორს გყავს ერთი მუჭა ქართველი,
ჩვენ რომ დავბრუნდებით, ისე შეგვეგებე,
მთები აატირე სვანეთის...

წარმოუდგენელია, არ გაიზიარო, არ შეგანუხოს და არ შეგძრას იმ ტკივილმა, რასაც ემიგრაციაში მყოფი დედები განიცდიან.

ღვთისმშობელი გზადით დღემდე უდედოდ
და დედის ხელი თმას ველარ გვარცხნით,
თქვენი სურნელის და კოცნის გემო,
ნესტოების წინ თავხედად დამდის...

ყოველი მხატვრული ნაწარმოები ხომ ყოველთვის თავისი შემოქმედის ერთგული სარკეა და არავის შეუძლია მასში თავისი ბუნება შენიღბოს. სწორედაც ასეთი ერთგული სარკეა წინამდებარე წიგნი, რომლის ფურცლებზეც ნათლად და ღიად იკითხება ავტორისეული ხელწერა, სათქმელი, სურვილი, ოცნება... ავტორი გვიზიარებს მის წინაშე მდგარ გადაუჭრელ, რთულ პრობლემებს და ცდილობს მკითხველი აიყოლიოს, რათა მის მიერ დანახულ ჩვენს თვალწინ გაჩაღებულ ღირებულებათა ქარცეცხლის განვლების, ჩაქრობის გამოსავალი მოძებნოს. ყოველი მხატვრული ნაწარმოების ერთ-ერთი დანიშნულება ხომ სწორედ ეს არის:

უძილობის პროზას უგროვდება ხარკი,
ფოტოების კადრი, გადათვლილი წამში
ემიგრანტი დედა, ღამე ხელში ხატიო,
უსასჯელო ციხის პატიმართა ჯარი.

„ჩვენ მერცხლებს გამოვყვებითო“ გვეუბნება თამარ კაკაურიძე, თუმცა ავტორის სევდიანობას იმედი ახლავს, იმის იმედით, რომ ეს ყოველივე დროებითია და საქართველო გაბრწყინდება. სწორედ ეს არის ჩვენი გადარჩენის წინაპირობა, ყოველ

განსაცდელს რწმენის სიძლიერით და ერთად დგომით შევხვდეთ, რათა მომავალ თაობას ღირსეული, გაბრწყინებული საქართველო დავუტოვოთ. ძნელია, არ აგაფორიაქოს, სულით ხორცამდე არ შეგძრას, ტკბილ-მწარე მოგონებები არ გაგიღვიძოს, არ ჩაგაფიქროს სიღრმისეული განცდით გადმოცემულმა სიტყვებმა:

ჩვენ დაბრუნების იმედით ვცოცხლობთ,
დედა-შვილობა ვერ გვიგემია!...
მრავალჟამიერს დავუნთებთ კოცონს,
იმ იავნანის, რაც გვიმღერია...

გადაფურცლავ ამ წიგნს, გადაიკითხავ და დარწმუნდები, რომ აქ მზეა, სინათლეა, სიმშვიდეა და უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსი, მეგობარ-ახლობლების, ოჯახის, სიკეთის და თანადგომის... შეუძლებელია არ ჩაგაფიქროს ავტორის განცდათა სიღრმემ, მხატვრულ შედარებათა სიუხვემ, ემოციათა მრავალფეროვნებამ, ბუნების საოცარი მოვლენების ავტორისეულმა უჩვეულო აღწერამ, მეტაფორულმა მიგნებებმა და მხატვრულმა გაპიროვნებებმა.

ფრთამოტეხილი მაფშალია, იაგუნდი და ალილო,
ალალ შენ, საქართველოვ, რამ დაგაღონა, რა იყო?!...
მრავალჟამიერ მოისმის, ხმას აუწიე, ძამიკო,
უცხო მინაზე გისმენ და მეც მომანვდინე რანინო...

დიახ, მკითხველმა ნამდვილად კარგი საჩუქარი მიიღო თამარ კაკაურიძის ლექსთა კრებულის სახით. ავტორისეულმა დამოკიდებულებამ და რეალობის შეფასებამ დღის სინათლე იხილა. ღრმად ვარ დარწმუნებული, მკითხველისგან იგი გულწრფელ აღიარებას და სიყვარულს მიიღებს.

მანანა გორგიშვილი

წინასიტყვაობა

ინტერიერ - ექსტერიერისა და სადღესასწაულო ორგანიზების დიზაინერი, პროფესიით ექიმი და პოეტი ქალბატონი - თამარ კაკაურიძე დაიბადა 1970 წელს, 18 მაისს.

დაამთავრა ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლა.

სწავლა განაგრძო ქუთაისის სამედიცინო ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა წარჩინებით.

მომდევნო ეტაპი იყო იოანე პეტრიწის სახელობის უნივერსიტეტის ბიოლოგიის სრული კურსი (ექიმი ბიოლოგი).

აქვს ოთხი სერთიფიკატი სხვადასხვა კვალიფიკაციით.

მუშაობდა ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში, ქირურგიის მიმღებ განყოფილებაში, ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალის ბაზაზე არსებულ საბავშვო ბაღში.

მისი სულიერი გატაცება, ინტერიერ-ექსტერიერის სადღესასწაულო მოწყობის დიზაინი, შემდგომ გადაიზარდა პროფესიაში და თავისი ცხოვრების მომდევნო ეტაპი დაუთმო ამ საქმიანობას.

საქართველოს მასშტაბით განხორციელებული აქვს დიდი და მასშტაბური პროექტები, დიზაინთან დაკავშირებით. მათ შორის: კარფურ - პიქსელის ორი წლის იუბილე, ბაგრატიონში - „GROSS“-ი და მრავალი სხვა...

გაშუქდა არაერთ სატელევიზიო ეთერში.

იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „მარადიული გენიას“ დირექტორის მოადგილე. მათი ორგანიზაციის მიერ საქართველოს მასშტაბით გამოიცა წიგნი-კატალოგი „საქართველოს მედიცინა“ სამედიცინო სფეროში, პერსონალის და მათი მიღწევების, ინოვაციებისა და ისტორიის შესახებ.

2017 წელს, დედისა და მამის გარდაცვალების შემდეგ, იძულებული გახდა წასულიყო ემიგრაციაში. ორი ქალიშვილი დატოვა ერთმანეთის იმედად.

მადლობას სწირავს უფალს საუკეთესო შვილებისათვის. უფროსი ქალიშვილი ლალიტა ლომთაძე მომღერალი და იურის-

ტია. ის რადიო დარდიმანდის წამყვანია. ჰყავს შესანიშნავი მეუღლე, გიორგი ჭიალაშვილი (მომღერალი) და ორი შვილიშვილი ლუკასი და თომასი. მეორე ქალიშვილი თეკლა ლომთაძე უნიჭიერესი გოგოა, რომელიც 100%-იანი დაფინანსებით მოხვდა თავისუფალ უნივერსიტეტში და წარმატებით დაამთავრა. პაპისეული კარ-მიდამო, სამწუხაროდ, ბანკმა წაართვა.

თამარი, ნიკოლოზ კაკაურიძის შთამომავალია, ივანე კაკაურიძის ვაჟის, რომელიც ნიკიფორე გვანცელაძესთან ერთად მეეტლეების უბნის მესაკუთრე იყო (ბერი თევდორეს ქუჩა, ყოფილი 26 კომისრის). მათთან დამზადდა ეტლი, რომლითაც დიდმა მგოსანმა აკაკი წერეთელმა იმოგზაურა რაჭა-ლეჩხუმში. მათი ოჯახისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ინახება ქ. ქუთაისის მუზეუმში და ვერა ლონდა ჯიქიამ დაწერა წიგნი „წარსულის მოგონებები“.

ბავშვობიდანვე წერდა ლექსებსა და ჩანახატებს...

ემოციები და გრძნობები განსაკუთრებით გაუმძაფრა ემიგრაციამ.

მისი ლექსებისა და ჩანახატების რიცხვი დღითიდღე იზრდება. თამარი გახლავთ 15 კრებულით თანაავტორი.

მალე გამოიცემა მისი მეორე ლექსების კრებულიც.

კრებულის თითოეულ ლექსს და ჩანახატს ექნება თავისი ილუსტრაცია და იქნება მრავალენოვანი.

თამარი გახლავთ ილია მართლის (ჭავჭავაძის) გაზეთ „ივერიის“ სახელობის პროზა-პოეზიის საერთაშორისო ინტეგრირებული პრემია „ივერია“-ს ოფიციალური წარმომადგენელი იტალიაში, რომლის უფლებამოსილება გადასცა ამ ორგანიზაციის დამფუძნებელმა, დირექტორმა (თავმჯდომარემ) ბატონმა ნუგზარ ჭიაბერაშვილმა (პროფესიით ჟურნალისტი, საერთაშორისო ურთიერთობები და დიპლომატია). ხორციელდება 2013 წლიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ცხუმ - აფხაზეთისა და ბიჭვინთის მიტროპოლიტის, უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორეს ლოცვა-კურთხევითა და პატრონაჟით. 2023 წელს თამარი გახდა „პერსონა 2023“.

2024 წლის ივნისში, იტალიის ქალაქ მატერაში ჩატარდა პრემია „ივერიას“ სიმბოლური დაჯილდოება და მას მოჰყვა სრულიად სამეგრაციოს დადებითი ემოციები და გამოხმაურება.

2024 წელს, დავით აღმაშენებლის აკადემიამ, (ხელმძღვანელი პროფესორი ქ. ნანა ჯიქია) მიანიჭა „საპატიო პროფესორის“ სტატუსი, რომელიც პირადად გადასცა.

2025 წლიდან ის გახლავთ, პრემია „ივერიას“ ოფიციალური წარმომადგენელი იტალიაში.

თამარი გახლავთ პრემია „ივერიას“ ორგზის ლაურეატი და მედალოსანი.

მას აქვს სამომავლოდ საინტერესო გეგმები, რომელსაც ძალიან მალე წარუდგენს ფართო საზოგადოებას.

ნინო როსტიაშვილი

ჩემი სახლი

მე ვცხოვრობდი ქალაქ ქუთაისში, ბერი თევდორეს ქუჩაზე. ადრე ამ ქუჩას 26 კომისრის ქუჩა ერქვა.

1905 წელს ამ ქუჩაზე მდებარე სახლი გადაწვა ალიხანოვ-ავ-არსკის დამსჯელმა რაზმმა, სადაც ცხოვრობდნენ შეძლებული ხელოსან-მეპატრონეები ნიკიფორე გვანცელაძე და ივანე კაკაურიძე. (ბაბუას მამა). მათ 1900 წელს ერთობლივად ჰქონდათ შეძენილი საკუთარი სამჭედლო-სახელოსნო, ხოლო 1911 წელს სათავადაზნაურო სამინათმოქმედო ბანკის საჯარო ბაზრობაზე, შეიძინეს პელაგია მაისურაძის სახლი ვალებიანად, რომელიც მდებარეობდა პეტრე-პავლეს ეკლესიასთან ახლოს. ესენი გახლდნენ, ქუთაისური ძირძველი ოჯახის მესამე თაობის წარმომადგენლები. პეტრე-პავლეს უბანი წარსულში თავადაზნაურებით ყოფილა დასახლებული (მიქელაძეები, წულუკიძეები, გოგობერიძეები, ნიჟარაძეები...), ამ აქტს ამტკიცებს ქუთაისელი ნოტარიუსი ივლიანე ანჯაფარიძე, მსახიობ ვერიკო ანჯაფარიძის მამა, რომელიც ჩვენმა ოჯახებმა გადასცეს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს.

ჩვენი სახლი ტიპური იმერული ნაგებობა იყო, 5-ოთახიან სახლს, ფასადის მეორე მხარის მთელს სიგრძეს, ხის ჩუქურთმებიანი აივანი გასდევდა. სახლს გარს ერტყა ვრცელი ეზო, სადაც დამხმარე ნაგებობები იდგა, მათ შორის მსახურთა საცხოვრებელი და საჯინიბო.

სახლის ერთ-ერთ უკანა ოთახს, იმ დროს დამახასიათებელი, რკინის სარაზავიანი მთლიანი ხის განიერი კარი ჰქონდა, რომელიც მასიური და საკმაოდ მძიმე იყო.

ზაფხულის ერთ-ერთ საღამოს (40-იანი წლების მიწურულს) ამ სახლში გვეწვა უცნობი მამაკაცი, ტანად მაღალი, ჭაღარაშერეული, გვარად ამირეჯიბი, რომელიც სახლის ყოფილი მეპატრონის შვილიშვილი აღმოჩნდა. მან სახლის დათვალიერების ნებართვა ითხოვა, სიყვარულით მოავლო თურმე თვალი სახლის კედლებს, მოეფერა, ხის კარს ხელი გადაუსვა და ჩუმად ჩასაჩურჩულა: „ჩვენი კარი“ (ახალი დაბრუნებული ყოფილა გადასახ-

ლებიდან), თან ჰქონდა ვიოლინო და სურვილი გამოთქვა, ერთხელაც დაეკრა ამ სახლში...

რადგანაც ძველ ქუთაისში, ერთ-ერთ დანიშნულზე დარგს მჭედლობა წარმოადგენდა, მათი ძირითადი ნაწილი განლაგებული იყო ბაღის ქუჩაზე (რუსთაველის ქუჩის მონაკვეთი, სევასტოპოლის ქუჩიდან, ძველ კაზარმამდე). აქ იყო ზუსტად ის სახელოსნო, ე.წ. „კარეტნი რიადი“, რომელიც შეიძინა ბაბუაჩემმა ივანე კაკაურიძემ და ნიკიფორე გვანცელაძემ, რის შესახებაც ზემოთ უკვე მოგახსენეთ. სამჭედლო საამქროში მუშაობდნენ მჭედლები: კონსტანტინე გვანცელაძე და ნიკოლოზ ჩოგოვაძე; უროს დამრტყმელები: კალისტრატე კოლოაშვილი, ივანე რუსი და სხვები...

„მეკარეტეთა“ გაერთიანებაში შემავალ ცალკეულ საამქროებში თურმე გარკვეული ოპერაცია სრულდებოდა: სადურგლო, სამღებრო, საშორნიკე ანუ ტყავის ხელოსნები და ასე შემდეგ... ჰყავდათ შეგირდები და მოჯამაგირეები...

1912 წელს ცნობილმა მეეტლემ, იოსებ მელიამ, აღნიშნულ გაერთიანებას დაუკვეთა ეტლი, რომელიც საზოგადოებამ დაახვედრა ქუთაისში ჩამოსულ აკაკი წერეთელს, რომლითაც რაჭა-ლეჩხუმში იმოგზაურა.



საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, აღნიშნულ გაერთიანებას, არტელი - „გრდემლის ხმა“ ეწოდა 1908 წელი. ფოტოს ცენტრში არის ჩემი დიდი ბაბუა ივანე კაკაურიძე და ნიკიფორე გვანცელაძე).

ზაფხულის ერთ-ერთ საღამოს, ამირეჯიბივით მეც დაგიბრუნდები, ჩემო სახლო!

ჩემი ოჯახის ისტორია მართლაც სასიამოვნო, საინტერესო და საამაყოა ჩემთვის.

თამარელა კაკაურიძე

ԼՍԲՐԱՅԻՆԱԿԱՆ ԸՌՈՒՅԸ



მოლოდინი

ვერ დაგელოდე,
მაპატიე, აკაცია ყვაოდა მაგ დროს,
არ დამედარდე,
ჩირალდნები დაგინთე საზრდოდ,
მე თუ შეგცოდე,
გადაღლილი უფალთან ვნანობ,
ვერ დაგემონე,
მე უშენო ცხოვრებას დავთმობ.
მაინც მაბოდებს,
სინანულის ცრემლები მახრჩობს.
ცის ანგელოზებს,
დღესაც ჩვენი შარბათი ათრობს,
აღარ ელოდე,
დაბერებულ გრძნობებში ამბორს,
ხომ მომიტევენ?!

რომ უჩემოდ შენ დღეს ხარ მარტო.



დავაგვიანეთ...

უცნაურია, განუხებდეს ჩემზე ფიქრები,
ან ჩემი მოსვლა გადარდებდეს, აბსურდულია,
დავბრუნდები თუ, სამუდამოდ კვლავ შორს ვიქნები,
ნუ ჩამაფიქრებ, რომ ცხოვრება უმადურია...

გადამეჩვევი, მეპარება წვიმის წვეთები,
კისერზე ხალებს დაგიტვლიდი, ასე ვნებიანს,
ძველი ხიდის ქვეშ, ნაწვიმარზე, მინის შუშები,
თამბაქოს კვამლით მოხატული, ისევ ჩნდებიან..

მუდამ ჩემში ხარ, არ მასვენებს მკვდარი დღეების,
გამოგლოვებაც არ აშუშებს იმ ძველ იარებს,
რა გავაკეთო, როგორ მყავდე წარსულ ლექსებში,
იქნებ ორივეს გვითხრას ვინმემ - დაავიანეთ...



ჩემი გაგებულები

ხელისგულზე დაგატიე,
დაგიტოვე ჩემთან,
თითქოს სულში ჩამესახე
სიყვარულის ფერად...

შეგიყვარე, შეგიფარე,
აგიყვანე ღმერთთან,
შემოდგომის ყვავილივით,
ვიყვავილეთ ერთად...

გაგაბნიე მზის სხივებში,
მიმოგფანტე ყველგან,
თმებში სხივად ჩაგიბნიე,
გაგაბევერე სევდად...

ღვთისმშობელსაც შევევედრე:
მოვაბრძანებ შენთან,
შეგესწავლა სიყვარული,
გაეზარდე ზენას...

ხელისგულზე დატეული,
არ გაჩერდი ჩემთან,
გაპატიე, არეული,
ვერ ვპატიობ ჩემს თავს...

მარტოობას გავუძლებ და
მეყოლები კენტად,
ამ სხეულში ძველებურად,
ჩასახული მზე ხარ...

ფიქრი

გადამეფანტე სტროფებივით
ლამის წყვდიაღში,
გამიფერმკრთალდი უსუსური,
დროთა ტრიალში,
მზე მაშტერდება ზღვის ნაპირზე,
ცხელ-ცხელ ქვიშაში,
გადამარჩინე, უშენობის
ხილულ მირაჟში...
გადაგფურცლავდი,
რომ შემეძლოს, ალბათ, დილამდის,
მონყურებული,
უსასრულოდ ამოგწურავდი,
ბილიკნართმეულს მოგაგნებდი
მაინც სიზმარში
და უნაზესად დაგკოცნიდი
ღმერთთან მიყვანილს...

...რას აღარ ფიქრობს დაკარგული,
სივრცეში ქალი...



შენით გადნობი

სადაც გამიგიჟდა აზრი,
იქვე მონატრებაც ატყდა,
მე ვარ გადაღლილი შენით,
წარსულს დაეფინა დამლა...

წუხელ გადათენდა დარდით,
დილაც უღიმღამო გახდა,
შენ ხარ ბედნიერი ჩემით,
ალარ ჩაგჩურჩულებ: სად ხარ...

წამსაც შეუწუხდა ჯავრი,
ყველა მოგონება გაქრა,
როგორ მოგეახლო ღამით,
როცა ყველგან ხარ და არსად...

როგორც უსუსური ბარტყი,
უბეს მიმაკარი მარად,
მარიამობის თვის მოსვლას,
შენთან ყოფნის ფერი ახლავს...



ბლის კუნძულა

ვგრძნობ, რომ გეხები და სურნელი აგდის მაისის,
ბლის კუნძულები დაგწურვია ტუჩის კუთხესთან...

გაზაფხულები ღიმილებად ღაწვებს აგიცრის
და შემაყვარებ, შენში ღმერთის ღიმილს რომ ვხედავ...

ანგელოზები მოგიტხოვდნენ გზავნილებს მწერლის,
მე მოციქულებს ვაგზავნიდი წერილით შენთან...

დაუნახავი სიყვარულის ტრაგიკულ ვერდიქტს,
ვიცი, შენ შეცვლი და გვირილის თაიგულს შეკრავ...

რომ დაინახო ჩემთან ერთად - ფერი დაისის,
ზღვა როგორ შთანთქავს წითელ მზის ბურთს,
წარსულთან ერთად...



ძველი შარიშურები

ქუჩაში რუხი ასფალტზე ლანდი,
აუტანელი დღეების ჯარით,
თმებში რიგებად ჭაღარის ხაზში,
ქალი შეშლილი, უშენოდ დადის.

უსიყვარულოდ ტიროდა ქალი,
ტეხავდა სიზმრებს უტეხი ქარი,
ჟანგისფერ კედელს აკვროდა ლანდი,
ზურგზე აწვიმდა ცოდვა და დარდი.

ისევ ლოდინი და ძველი შარი,
შარიშურები სიგარის კვამლში,
მოგონებების გავშალე „კარტი“
და გზას მივყავი უღვინოდ მთვრალი.



ჭრიჭინები

თვალეები მინდა მოვხუჭო წამით,
წარმოვიდგინო სოფლის ორღობე
და ჭრიჭინების ხმაურით, მთაში,
ვაფორიაქოთ ღამის სიჩუმე.

დროში გაყინულ ჰაერს ვსუნთქავდეთ,
ცვარის სისველე გვედოს ტუჩებზე,
გყავდე მორთული, თმა - კესანებით
და გეყრდნობოდე გულთან უბებზე.

შიშის საფეხურს მიჰყავდე ათვლით,
მიუყვებოდე გზას, ჩემთან კვალზე,
ღმერთის ენაზე ნამღერ ბალადით,
სიყვარულს მთხოვდე ასიათასჯერ.



ვადაბასული ღრო

ნვიმა ამტვრევდა დაორთქლილ ფანჯრებს,
ცა უშუმურ სახეს მალავდა თითქოს...

მარტი მახვევდა ამინდის აზრებს,
დრო ვადაბასულს, არვის დაინდობს...

ზღვა ასკდებოდა ნაპირს და საზღვრებს,
სიცარიელე მეფობდა თითქოს...

ქარი არწევდა სვეტზე მავთულებს,
ჟანგისფერ თოკის ჟანგის აკიდოს...

ის ყველა წამი შეაკვდა სანთელს
და გადაღლილი თავს ფიქრით ირთობს...



ცა ღამეკარბა

აღბათ, ყველაფერის სასჯელს ვიხდით ორივე ერთად,
ადრე თუ გვიან, გვესტუმრება ფერადი სევდა...

ზღვარგადასული, მოლოდინში, ვიხსენებ ძველ დარდს,
გადაუღლივართ ამ ცხოვრების უმიზნო დეტალს...

თვალების ფერებს ვერ მიღებავს უჟმური ზეცა
და მახსენდება შენი სუნთქვა, როცა ტანთ მეცვა...

მე ცრემლნარევი მიფუყვები რუხისფერ, სველ გზას,
ხსოვნაგადაშლილ სიყვარულით, გიხსენებ დღესაც...

დილა

ჯინსისფერ დილას, მეამბოხე გაზაფხულების
მონატრებები აღვიძებენ ჩაკირულ დღეებს,
აფერადებულ მაისზე და შენზე ვფიქრობდი,
მონაფერები მოგონებით, აჩრდილიც მიმზერს...

ზეცის ყველა თაღს ააცეკვებს ცისარტყელები
და თქორა წვიმას ააცრემლებს სამყაროს ზენა,
დედას გაფიცებ, დამიკოცნე ისევ ხელები,
ღრუბლების რაშებს გამოყევი ამ დილას ჩემთან...

თორემ წამლეკავს მოლოდინი, თითქმის ვიღლები,
გადააყოლებს მზეს - კვირტები, ლოდინს და სევდას,
როგორც მწყურვალმა, გადავლენე ეს ჯებირები,
დაგეწაფები, წყაროს ბოლო ყლუპივით შეგსვამ...

მთვარე უნო...

გამითამამდა ფიქრები შენზე,
გამიველურდა მთვარე უბელო,
ლამაზ წარსულში ისევ გიხსენებ
ისევ დაგეძებ, დროში - უფსკერო...

გამისხეულდეს აჩრდილი დღესვე,
გამითარეშდეს ვნება უშენოდ,
მე ვერ გავძელი უფიქროდ შენზე,
ისევ მომინდი, ისევ უმზეოდ...

მინდა, მათოვდეს მოგონებებზე,
ყველა სიგიჟეს მოვკლავ უჩვენოდ
და მოჰყვებიან ტკივილით ჩვენზე,
მილიონ ჭორს და ნაფიქრს უფეროდ...



ფერადი - უფერო

სიტყვები უენო,
აზრები
უსქესო,
მიყვარხარ უმზეოდ...
ველარ ვძლებ უშენოდ,
ვიმღერო უსმენოდ?!...
ამინდიც
უხეშობს,
თამაშობს თუ ცელქობს...
ქალაქში თენდება,
ღამდება
უშენოდ...
ფიქრები უმზეო,
ცოდვები უღმერთო,
თვალეებით მომძებნე,
ამ ქალს რომ
უშველო!...



ფორტეპიანო

წვიმის წვეთივით ვანკაპუნებ მე ყველა კლავისს,
დაგვათენდება, რულს გაგვიტეხს უტეხი ღამე...
მოულოდნელი აგონიის სურვილი დამდის,
სულს გაგვითენებს ჟინით მთვრალი, შეშლილი მთვარე...

მერე სიცოცხლეს ააჟღერებ მარტივი ნოტით,
დროს უდროობის, დაკარგვია აზრი და ფასი...
ეს უფერული ფოტო - კადრი დარჩება ორის,
როგორც გაცლილი, ჟანგისფერი, უღვინო თასი...

სიყვარულის ქუჩა

ამ ქუჩის ბოლოს მიმოვფანტე ფერადი წლები,
გზააზნეული დავთარეშობ ოცნების მიღმა,
გამიაპრილდი, მაგრამ თითქოს შენ ვერას ხვდები,
გადარეული მარტის ფიქრი მე უკან მიმაქვს...

ფიქრებს და დღეებს, გადაღლილი თვალების ცქერით,
აღმოვებულები სურვილებით, როცა კვლავ გიყვარს,
ეს გიჟი ქარი მიმაცილებს, მომყვება ფერხთით,
ამ ქუჩის ბოლოს შენი ნახვის სურვილთა ხიზანს...

ნისლიანი რიჟრაჟი

თეთრად შენისლულან ნაძვის კულულები,
რალაც იდუმალი სევდა მიფარფატებს,
ძილად მიგდებული რიჟა შუქურები,
სხოვნას შემორჩენილ დღეებს მილამაზებს...

უკვე აყირავდა მთელი მოგონება,
თითქოს აღმაცერი მზერა მითვალთვალებს,
შენით დანყებული ყველა თბილი ბგერა,
შენით დამთავრებულ სონეტს მითამაშებს...

წლების კიდობანში კიდევ ერთი ფუთა,
წიგნად აკინძულა, სევდას იმარაგებს,
შობის ღამეს ნათქვამ ფერად სასწაულებს,
შობის ანგელოზი მწყემსებს უქადაგებს...



თოვს

დღეს უშენოდ თოვს, მიყვარხარ ან გგმობ,
ველოდები დროს,
უშენობა შობს, გულში დარდის ომს,
ჰორიზონტის ზოლს...
ზღვა ცას შევლას სთხოვს,
უცნაურად სველს, წვიმა მიშლის ცრემლს,
ამერია დღეც,
გისხენებ და ვერც...
ნუ დაუცდი შენც, სიყვარულის დღეს,
წვიმა, თოვლი, მეც,
ველოდებით მზეს,
მიყვარხარ ან ვერც?!
აქ გასრულებ ლექსს...

მოლოდინი

ვერ დაგელოდე,
მაპატიე, აკაცია ჰყვოდა მაგ დროს,
არ დამედარდე,
ჩირალდნები დაგინთე საზრდოდ,
მაშინ შეგცოდე,
გადაღლილი უფალთან ვნანობ,
ვერ დაგემონე,
მე უშენო ცხოვრებას დავთმობ.
გადამებოდე,
სინანულის ცრემლები მახრჩობს,
ცის ანგელოზებს,
დღესაც ჩვენი შარბათი ათრობს,

აღარ ელოდე,
დაბერებულ გრძნობებში ამბორს,
ხომ მომიტევენ?!
რომ უჩემოდ შენ დღეს ხარ მარტო.

შვილი ფერის გული

გულის გულიდან მომიძებნე უსიტყვოდ, თმენით,
თორემ განცდებით თანაგრძნობის სიტყვებს რა დალევს,
მე ამ სამყაროს უსასრულო ტანჯვის მორევში,
გთხოვ ნუ დამტოვებ, სიყვარული მოვპაროთ წამებს...

თუკი ოდესმე დაინახავ მზის სხივებს თქეშში,
თუ ცისარტყელას ამომიყვან როცა იდარებს,
შენს საკინძეზე მიმივაბნევ ღილილოს ფერის,
ცის ვარსკვლავებს და კალათაში უჩუმრად ჩავდებ...



Հոնոյ՛՛



ლურჯი ფრინველი

თავს შეაკლავდა სავსე მთვარეს შლეგი ირემი,
დააყრუებდა ჰორიზონტებს სხეულის ლენვა,
ისევ ვმარტოობ, უშენობის ვარ ორეული,
ედემის ბაღში, შეშლილი და ცოდვილი ევა...

ალბათ, გაყიდდა თავის ფრესკებს დიდი ვაზარი,
მიქელანჯელო მამუნჯებდა, ფერების შერწყმად,
ამოგიჩემე, მინათებდა გზას მთვარე - მთვრალი,
ცხრაჯერ გაყიდულ, სიყვარულის უღონო სევდად...

გამიფანტავდა ხსოვნანაშლილ მუსიკას ქარი,
წითელ ზეცაზე მოხაზავდა ირავს - ფერადს,
არ დაგანებებს მარტოობას ლურჯი ფრინველი,
ლაფეროს ჩრდილში მიმალული, უღონოდ ღელავს...



„წითელი და შავი“ სტენდალი

დიდი სტენდალი ჭრაქის შუქზე ამ სიტყვებს წერდა,
მაშინ არავის მოგონების არ ჰქონდა დარდი,
მელნის კალამი ეხებოდა მუყაოს ჭრელ ყდას,
თურმე გოგიტას, უფლის ნებით, შენ შეუყვარდი...

თუ ბეთჰოვენი მთვარის შუქზე „ელიზეს“ წერდა,
მაშინ შენს სულზე ფილმს იღებდა აღმადგომი,
როცა ზღვის ფსკერზე მივიწყებულ პანდორას ტეხდა,
მოგონების და მონატრების ტალღების ჯარი...

ეს ყველა გრძნობა საუკუნის ბორკილებს გდებდა
და დაგიტოვეს მტკივნეული წარსულის ჯვარით?!
თუ ყველაფერი გადაშალა ამ წლების სევდამ,
მაშ, მესაფლავე გალაკტიონს რატომ ეძახის?!

რომ გალაკტიონ, შენი ერთი სიტყვის არ მჯერა,
რომ ამ ქალბატონს უბოდიშე და ისე წადი,
წაგებული გაქვს, მგოსანო, და დაჯერდი „რევანშს“,
როცა საფლავზე შესანდობარს იტყვის მხევალი.

ეძღვნება ჩემს მეგობარს - მარიკა მოსეშვილს



შობას გინატრე

გინანე ღიმილით და გინატრე,
მერე კი ვინანე;
იმ ღამეს გყიდიდი და ვიდარდე,
ვფიქრობდი იმარჯვებ;
ატირებული ფრაზები მოვხაზე,
ფერებში მივფანტე;
გადარეული სიცილით ვიბრაზე,
კარების მიღმაზე;
გიმაღლე ლოდინი და ისე მოვხატე,
ტუჩი მინაზე;
შობის მიჯნაზე და უცხო მინაზე,
მინდა მიყვარდე;
შეშლილ გრძნობებით კიდეც ვიკადრებ,
წავალ ცისკარზე;
თამასუქივით მთვარეს მივართმევ,
შენზე იგავენს.



აურზაური მთაში

თითებდალენილ ტოტებს
ლოცვა მოუნდათ ქარში,
ქარი უტეხად ტეხდა
აურზაურებს მთაში.

ჩემს ყველა დარდს და ცრემლებს,
ნაკადულებში გავშლი,
მე მარტოობას ვძლევ და
უშენო ნუთებს დავთვლი.

ჭაღარა შეპარულებს,
კავკასიონის თმაში,
გათეთრებიათ სევდა,
ალალ მართალი კაცის.



მონოლოგი

სულის სიშიშველეს თურმე,
გრძნობას რომ გამოფენ კარ-კარ,
ველარ წამოგისწრო სულზე,
შვიდმა სათნოებამ ცათა.

ცოდვა შევალე მუზებს,
მომაკვდინებელი კაცთა,
უფალის სასწაულით ვუმზერ,
ყველა საიდუმლოს ფარცხვას.

თვალეს შეცდომების გუბე,
კარგი არ ახსენეს წამლად,
შენში ადამიანს ვუგებ,
შენ კი ინსტინქტებით მსაზღვრავ.

ლხინში მეგობარის შუბლზე,
ნაოჭს დავაკვირდი კარგად,
ჭირში ქუდზე კაცი უსმენს,
შენთვის სანუგეშო არაკს.

რწმენის მოკავშირედ დასვეს,
რწმენაშელახული ფრაზა,
ყველა ღირსეულის უბეს,
დარდის ოკეანე ფარავს.

თუ სიკვდილის შემდეგ მრუდე,
მე სხვა სიცოცხლე მაქვს ვალად,
ღმერთო, გადაღლილი ვუცქერ,
ყველა განაჩენის ზღაპარს.

ღამეს შემორჩენილი მოგონება

მოგონებები შემორჩა ღამეს,
უკვალოდ გაქრა ადამიანი,
რამდენი სიტბო მოაკლდა სათქმელს,
ჩემს ფიქრთან ისევ დავდარდიანდი...

როცა წუთები დათვლიან წამებს,
აღარ აჰყვება მზეს ნიავექარი,
დავჯდე და მოვყვე ჩვენ ორზე რამე? -
კლდეს აატირებს ჩვენი ამბავი...

ისევ

დღე-დღეზე ქრები, როგორც ყინული,
გათოშილ აზრებს ვაღლობ ცრემლებით,
მე ნაწილ-ნაწილ ვარ დამსხვრეული,
ქარებში მფანტავ, ისევ გნებდები...

აღბათ, მოვკვდები ვარდთა მაისში,
ვნებიან ზღაპრებს წერენ ვერხვები,
ამოგიცნობდი ცა-ამღვრეულში,
სიზმარზე მეტად, ვერსად შეგხვდები...

მე პინანია

რალაც ბუნდოვნად, უფერულ აზრად,
მაგრამ რატომღაც, შემომჩი კვალად,
არ გადაგშალე და დარდის დარდად
ცრემლის წვიმებმა დაგტოვა ხატად...

უკიდევანოდ შორზე შორს ვდგავარ
შეგიგრძნობ მძაფრად, გაჭირდა დაცდა,
მანძილი დროზე გამრავლდა ასად,
უშენობა კი ტანს შემომაცვდა...

ბაგეზე ღიმი მეტყობი მკრთალად,
სულში ფათურობ, თან ჩემში არ ხარ,
მე უშენობის ცრემლების დათვლას
მოვინანიებ... შემომხვდი სადღაც...

დამსხვრეული ბროწეული

(მარიტას)

ცრემლებია, რომ მასველებს გაშიშვლებულ ხის,
დამსხვრეული ბროწეულის აღმური თუ გდის...
მოჰიკანი უკანასკნელ მწუხრის ცრემლებს ცრის,
დაუკარით ბეთჰოვენი, მეჯლისია მზის...
თუნდაც ერთი აფეთქება, მილიონად ღირს,
მხოლოდ ერთი აკვირტება, პოეტს ართმევს ნიჭს...
დაუკარით ბეთჰოვენი, მივაცილებთ „მისს“,
ერთი ასად დამსხვრეული,
ერთი ასად ამღვრეული,
მზის დარია - „მისს“...

მარიტა

ოქტომბრის თვეში ბროწეულის გარდაცვალებას,
ტალახის გუნდით სიყვარულის დასამარებას,
გაუთელავი თეთრი თოვლის ატალახებას,
უსულგულობას და მანდილის დანაცარებას,
არც სილამაზის და არც ცრემლის არდანანებას,
უზენაესის არცერთ მცნების არგამართლებას,
ქრისტეს წამებას ჩვენს გულებში და არნანებას,
მე ველარ ვუძლებ, მამა დავით,
გთხოვთ აღსარებას...

დავიღალე

თითქოს კლავიშებს ეცვითებათ
ფერი სიახლის,
ყალბ ბგერებს ზურგსაც
შეაქცევდა
თვით ბეთჰოვენი...
მე დავიღალე, ვიყო მსხვერპლი
უსიტყვო ტანჯვით,
სულს ბორკილები ავიყარე,
არ მინდა ფარსი...
გადაუვიდათ ცისარტყელებს ფერი სილალის,
შავ-თეთრი ხედვით დაიღალნენ ალბინოსებიც,
ღმერთო,
თუკი არ მეკუთვნოდა რთული ცხოვრება,
შენ ყველას თავის საზღაური
თავად მიართვი...

მე და დრო

დრო გამეფანტა, ვინანე,
ვინანე,
მაგრამ რაღა დროს
მე ვერაფერი ვისწავლე,
ვიჯავრე,
ჯავრი შორს...
დრო მომენატრა იქამდე,
ვიდრე,
ცა თოვდა თოვლს...
დღეს რომ ეს თოვლიც ვიდარდე,
მეტკინა,
ვატკინე დროს...
დამიხატავდეს, ვინმე რომ
გამოზაფხულდეს,
სჯობს...
ატმის ყვავილად ავენთოთ
ავცეკვდეო,
მეც და დროც...



შენწყვეტილი ღამე

არის რაღაცა, რაღაც ისეთი,
გადაგავიწყებს მოყოლილ ზღაპრებს,
ალბათ, შორიდან ვისაც მოელი,
არ დაინანებს დაცვარულ ვარდებს...

მე მხოლოდ ერთი მინდა, ის ერთი,
შობის სასწაულს მოახდენს რამდენს,
და თუკი დამრჩა ისევ სიტყვები,
მოგიყვებოდით უშენო ამბებს...

ვერსაკმარისი დრო მაქვს იმედის,
ალარც გპირდები აქ უკვე რამეს,
იქ შემოგხვდები, ისევ ისეთი
და გავაგრძელებ შეწყვეტილ წამებს...

გაუშვი საღმე

ადამიანის სულის სული, ილექავს დარდებს,
ტკივილის ნარჩენს სიგარეტის ფერფლივით აბნევს,
ბოროტ თვალებში ჩანერილი ბოღმა რომ გაქრეს,
ავგაროზები ავუკინძე უსუსურ მავნეს...

კეთილ თვალებში უტრიალებთ ჭინკები მზაკვრებს,
მოჩვენებითი გაღიმება სიყვარულს ანგრევს,
შავ-თეთრ ფერებში თუ ხედავენ სისხლისფერ ვარდებს,
შენ ნუ განაღვლებს და ღიმილით გაუშვი საღმე...

ნდობის ბაღი

უკვე რამდენჯერ შევეჭიდე ცხოვრებას ძალით,
ქვის ლოდებივით აღმართს აჰყავს გრძნობები კრძალავით,
აღარც კი მახსოვს, მერამდენედ დამიდგა თვალწინ,
ღმერთთან აყვანილ კაცთა გაცრა მიწაზე საცრით...

და ისევ მთელი მონდომებით და არა მალვით,
ჯიუტად მაინც არ ვეშვები ადამის ნახირს,
ნდობის ბაღში გახლართულა დიდიც და ბავშვიც,
რომც მოინდომო უფლის რწმენა უგულოდ არ ღირს...

მზაკვრული მზერა

უკვე გითხარი სიმართლე ჩემი,
შენმა ტყუილმა გააქრო რწმენა,
სულელის როლი მოვირგე ნებით,
დღეს აღარაფრის არ მსურს მოსმენა...

ცარიელ გულში ტკივილებს წერდი,
ლამაზ ხრიკებით მაქციე მსხვერპლად,
უსულო სულის სიყალბე გშვენის,
მით ვერ ვივინყებ შენს მზაკვრულ მზერას...

განწყობა

ფერადი - უფერო,
სიტყვები უენო,
აზრები უსქესო,
მიყვარხარ უმზოდ...
ველარ ვძლებ უშენოდ,
გუშინ,
დღეს,
ვუძლებ როო?!
ვიმღერო უსმენოდ...
ამინდიც უხეშობს,
თამაშობს თუ ცელქობს,
ქალაქში თენდება,
ლამდება უშენოდ...
ფიქრები უზნეო,
ცოდვები უღმერთო,
თვალებით შემეხე,
ამ ქალს რომ
უშველო!



ქალის რეჟანში

მხოლოდ ქალია ძლიერი მაშინ,
როცა წაგების ეძლევა შანსი,
თუკი აიღო რეჟანშით თასი,
მაინც არ გაგცვლის უგულოდ სხვაში...

აღბათ ქალია ყველაზე შმაგი,
ქარის წისქვილთან გაბრძოლებს ხმალით,
ქალში ათასი ტრიალებს აზრი,
მხოლოდ მან იცის იმ ერთის ფასი...

ქალში ღმერთია, ქალშია კაციც,
თვით ჭინკებიც კი დარბიან კრძალვით,
თამაში ზღვაში, ფიქრები ცაში,
ყველა „ფერია“ პატარა ქალში...



მხოლოდ ერთი სიტყვა...

გთხოვ, გამაგონე მხოლოდ ერთი, რაღაც ისეთი
რომ მოგენატრე და ძე ღვთისა აღარ დავღალო...

ღმერთმა ვერ შეძლო მოფერება მისი შვილების,
დედა მოძერნა, ყველა შვილის სულის სამადლოდ...

ახლა ვზივარ და უსახური ბზარი კედლებში
მეკამათება, შენი ჩრდილი რომ არ დავლანდო...


ერთი ცხოვრება გავატარე შენი იმედით,
წლები დავფანტე, ათას მითქმა - ჭორზე სადავოდ...

დამეკარგე და როგორც ზეცა ცისკრის ფერებში,
დაგეძებ ყველგან, უპირობოდ, მაგრამ ამაოდ...

დავარიგებდი ან გავცვლიდი ცხადს თუ სიზმრებში,
შენს გულის-გულში ჩახუტების წუთის სანაცვლოდ...



საქმობჯოჲ ჩქო!



მინატრება საქართველო

მამაჩემის ოდა,
დედაჩემის ბალი,
მზე ატეხილ კვირტებს,
აფეთქებას აცლის.

გაზაფხულის წვიმა,
უგუნებოდ დაძრწის,
თმას - ჭალარა დასდის,
ნაწნაგების ხაზში.

წლების რიგებს გავლილს,
ასტრალური ათვლით,
უსასრულო ბოდვა,
უთვალავი დარდის.

უძილობის პროზას,
უგროვდება ხარკი,
ემიგრანტი დედა,
ლამე - ხელში ხატი.

ფოტოების კადრი,
გადათვლილი წამში,
უსასჯელო ციხის,
პატიმართა ჯარი.

აზვირთებულ გრძნობის,
ყელში ცრემლი ჩადის,
ორ საათში მწარედ,
ჩატეული “ფართი” ...

ჩვენს გარეშე დაზრდილს,
ლუკას, თომას, მარკიზს,
სურნელებით დედის,
მამა ლუკმას აწვდის.

გაბრწყინდება ზეცა,
საქართველოს ცაში,
დაგვაბერებს ღმერთი,
ჩვენს სანატრელ სახლში.

დამბერებია ღიმილი შენთვის

დამბერებია ღიმილი შენთვის,
უცხო მინაზე ვაბერებ გულსაც,
თმას შესევნიან პეპლები ვერცხლის,
თვალს უძილობის აწვალებს ნუსხა...

ისე გაფრინდა დღეები, წლები,
სხვის სამშობლოში ჩავუშვი ღუზა,
შენთან ნაქურდალ დღეებსაც ვებრძვი,
ჩემთან ვეცდები დავტოვო მუდამ...

აღარც კი მახსოვს თვალების ფერი,
დღეს უშენობას ვზეიმობ ლექსად,
მზე სხვანაირად ამოდის ჩემთვის
და უჟმურ ცაზე ანათებს ფერმკრთლად...

საფერხურებიც ჩამოტყდა ზეცის,
აღარც ბონდის ხიდს გავივლით ერთად,
ფურუსულები ჩამაჭნარა ხელში,
და გადაღლილი სხვის ჭერქვეშ ვწევარ...

გალაკტიონი დღეს იშვა ჭყვიშში

ისევ აფრინდა მინდორში გნოლი,
ისევ ქარია ურვით და ძრწოლვით,
გალაკტიონი... ალუჩა... ტბორი...
შვიდი წლის ბავშვი... დაღლილი ლოცვით...

მხოლოდ დღეს, სატრფოს არ ტირის კაცი,
დაასამარებს ლოდინს თვალები,
დღეს მუხლმოყრილი პოეტი, ამ ცის,
ლურჯა ცხენებით და ნამთვრალევი...

ლოთი დაუცდის სამ საათს, ბოდღერს
და ზედაშეში სეფისკვერს ალბობს,
ბეთლემს ოცდახუთ დეკემბერს, ოდეს
„ოსანა“ - უფალ იესოს... ვგალობ...

მუნჯ სიჩუმეში, ჭრაქიან ქოხში,
ცამეტი ტყვია ლაგდება რიგში,
ცამეტჯერ მინდა ქუხილი, შფოთი,
გალაკტიონი დღეს იშვა ჭყვიშში.



მომენტარი, საქართველო!

ფრთამოტეხილი მაფშალია, იაგუნდი და ალილო,
ალალ შენ, საქართველოვ, რამ დაგაღონა, რა იყო?!...
მრავალჟამიერ მოისმის, ხმას აუწიე, ძამიკო,
უცხო მიწაზე გისმენ და მეც მომანვდინე რანინო...

ამ გამოუვალ ზაფხულში მინდა სოხუმში აგვისტო,
მუხამბაზებზე მომინდა იტალიელი ვატირო...
„ქართულო ხმებო“, დაჭექე, სულს ჟრუანტელი დამივლის,
მე „ყვავილების დედოფალს“, შემომეფლითა მაისი...

შენ, ჩარკვიანო ადექი, ჩემო თბილო და ამაყო,
„თავისუფლების ჰიმნზე“ რომ ეს ქართველობა ავყარო...
დავით არჩვაძე, სადა ხარ, მზე მომანვდინე აისის,
თორემ უმზეოდ ვუცქერ და ღამეს მიმზადებს დაისი...

ამ ტკივილებზე სერაფიმ, მოგვიგალობე, მამაო,
შენ „თეთრი რაში“ ახსენე, თავს არ მოიკლავს არასდროს...
მერაბ, ლაშა და ნიკოლო, ბოლო მაისის ქარი ქრის,
მაგ ჩვენი მიწის ალუბლებს დაგვანურავდა „ბარძიმი“...

ჯანაშვილების საძეოვ, მოაჩუქურთმეთ ჰანგები,
რომ თქვენს საყვარელ ქართველებს წმინდა მიწიდან დამღერით...
ნანი, ნატო და ვახტანგი, „ჩიტო-გვრიტო“ და „მთვარეო“,
არ მოკლებოდეს ქართველებს იაგუნდების სამრეკლო...

ლალიტა! გიო! მიმღერეთ, იავნანა და ჰარალო,
ნიაზის „ყირამალაზე“, ჩაგეხუტებით, არმაზო...
აბა, დაჭექეთ, ლეკვებო, ალგეთს აყარეთ ბოკვერნი,
რომ საქართველოს უდედოდ არასდროს ჰყავდეს ლომები!

ქუთაისი

ფერად ქუჩებში, მოლიპულ გზებზე,
აურეკლია კადრებად როცა,
მომნატრებია შენი კედლები,
თუ ვიგვიანებ, მე მაინც მოვალ!

ვკოცნი ყველა ფიქრს, რაც რომ კი შენზე,
დაუთმენია სურვილად ოდას,
თუ მიგატოვებ, გთხოვ, მაპატიე,
მზის ამოსვლამდე მე ისევ მოვალ!

ნაცნობ ქუჩებში, ცრემლით თვალებზე,
ნაცნობ თვალებში ჩავხედავ როცა,
გაზაფხულებზე, თუ ვერ შევძელი,
ღვინობის თვეში მე შენთან მოვალ!

ჭადრის შრიალებს, ხეები გზებზე,
ჭაღარა თმებში ჩაგაკრავ კოცნას,
არ შეგეშინდეს, მე უშენობას,
ვერ ველევი და მელოდე...
მოვალ!



გულიდან საქართველომდე

ერთგულმა გულმა, გულის-გულობით,
ვერ გაუძლო და შეაკვდა ყინვას.
დამსხვრეულ სარკეს უმადურობით,
არ უფიქრია, ჩვენ უკვე ვინ ვართ...

აზროვნებაში დატეულ სიზმრით,
ეპიზოდები იტყვიან იმას,
რაც სიკეთით და იმ სიყვარულით,
გარდაიცვალა დიდი ხნის წინათ...

ის ყველა კოდი, იმ გენეტიკის,
რაც კი თამარის სისხლიდან მიყვარს,
რაც კი ღვთისმშობლის უძილო ლოცვით,
კიდის-კიდემდე კბილებით მიგვაქვს...

ველარ ავიტან, მიწას დალოცვილს,
გრამით-გრამამდე გვაცლიდეს ვილაც,
მუშტმეუკრავი იმ ქართველობის,
ვინც არ გვიფასებს დავითის სიტყვას...

გაზაფხულის და შენი სურნელი,
ჯიუტად მოაქვს აქამდე ნიავს,
ვიდრე ქუხს სულის გამოძახილი,
ჩვენს სამშობლომდე მტერი ვერ მივა...

მიყვარხარ ქართულად!

დაჭრილ დათვივით ტირის სული,
 სული უფერო,
 მე ვარ უმწეო...
 დანაცრულ ფიჩხივით ინვის ფიქრი,
 ფიქრი უენო,
 მე რა ვუშველო...
 გოლგოთას მთაზე, გმინავს ცოდვა,
 ცოდვას უშენოდ?!
 გეძებ უგზებოდ...
 დაუკარგიათ ქრისტე ჩემში,
 შენში ლოცვა,
 დავრჩით უღმერთოდ...
 გადაუვლია თითქოს დღეებს,
 თითქოს წუთებს,
 წამებს უცრემლოდ...
 გადაუნნიათ ნინოს ჯვარი,
 ჯვარი უღერნოდ,
 ვგალობთ ურწმენოდ...
 ანგელოზებიც ჩუმად
 მიმაღულან,
 ვთბებით უმზეოდ...
 ანიც დაკარგულა, ბანიც დაკარგულა,
 სიმებიც ქართულს
 თითქმის აღარ უკრავს...
 დილა მშვიდობისა აღარ უნდათ,
BUONGIORNO,
 თუ მოსწონთ
 ამას რაღას ვუზამთ...
 და მაინც ფესვები ისე გახლართულა,
 ხმამაღლა ვიყვირებ, როგორც ჯერ არ თქმულა,
 - მიყვარხარ ქართულად!

სიყვარულით ქართულობა...

ამ სიყვარულს თუ მიაძვრებხარ დრო უეცარი,
იქნებ არც გსურდა, სულ ბოლომდე რომ შემეცანი,
თარემ-თარემით ამიდულებს სისხლს ხმა ვერსალის,
მე ქართველი ვარ და ფრე ჯილდო, ჩემიც ეს არის...

ახლა ქარები წამოლეკავს ფიქრებს შენამდის,
მთვარეს იტაცებს თამარისთვის თარაშ ემხვარი,
ბაგრატიონის მოდგმას, მიწა ყველას გვეძახის,
ფალიაშვილის დაისობა მიყვარს შენსავით...

გამირუსთველე ყველა სტროფი, რჯულის შეძვრამდის,
ტიციანი კი, გალაკტიონს უქებს ყველა რითმს,
დედა მარიამ, მადლით ვკოცნი მიწას შენს ნაფიცს,
მე სიყვარულით დავარიგებ ამ დიდ შენაწირს...



ჩვენო თვალსაზრსუა!

ისევ აყვავდები, ჩვენო საქართველოვ,
თბილისს მოგვიხატავს ვარდები,
ისევ იმაისებს ჩვენი ქუთაისი,
ისევ კრიმანჭულზე აგყვებით...

ცოტაც გაუძელი, ჩემო ჯიგრიანო,
მტკივა უხერხული მარტები,
გულში ჩახუტებულ შვილებს უგალობენ,
დასი ანგელოზთა სამების...

ზღმარტლიც ღიმილებით აგიყვავილდება,
რიგი აჭრელდება ჭადრების,
ნუშის სურნელებით დამტკბარ სამეგრელოს,
მორთავს ცისარტყელას ფარდები...

ყველას ერთი ნახვით შეუყვარდებოდი,
ისე აპრილდება არგვეთი,
როგორ მენატრები, ჩემო გულყვითელა,
სოხუმს ხმაურობენ ტალღები...

შენი მაჯისცემის ყველა აურზაურს
ჩვენი გულის ფეთქვით აყვავებით,
მხოლოდ დაგიგულოთ ხვალე ბედნიერი,
ალალ სიყვარულზე ნამღერი...

ჩვენო თვალსაზრსუა სიზმრის დედოფალო,
შორს გყავს ერთი მუჭა ქართველი,
ჩვენ რომ დავბრუნდებით, ისე შეგვეგებე,
მთები აატირე სვანეთის...

საქართველო გაგრძელება!

რატომ მოიწყინე, საქართველოვ,
ჭირში მაგრდებიან ლომები,
ალგეთს დაგეზარდა ბოკვერები,
ეგრისს დაგიცავენ ფხოველნი...

რატომ ამიცრემლდი, ქართლის დედავ,
ჩვენ ჯიშს არ შეშვენის ცოდვები,
ქუდზე კაცი მოვა, ნელში გაიმართე,
ყველა თამარ მეფის მოყმენი...

კოლხეთს, იბერიას, ყველას ერთად შეკრავს,
დედაღვთისმშობელის ღოცვები,
ენას, მამულს, რწმენას ვედარ შელახავენ,
გვფარავს მადლობით და მოთმენით...

ხელთუქმნელო ხატო! ნინოს ლერწის ჯვარო!
ქართველთ სნეულება მოხსენი,
ცაზე უფლის წილი მიწა საქართველოს,
პირჯვარს გარდასახავს მოყმე ძის...

მადლით ხვთისათაო, საქმეთ ხვთისათაო,
ცამეტ ასურელებს მოველით,
როგორც ყრმა ექვთიმეს ჯანი მოუვლინე,
ისე დედებს შვილი მოგვეცი...

ისევ აყვავდება ჩვენი საქართველო,
რამდენ ჭირს და ტკივილს მოვყვებით,
დედა მარიამის სახლში - სამოთხეში,
ჟამი ოქროსხანის მოგველის!

P.S. ქართველი ერის მემკვიდრე:
„ნეტარ ვართ ჩვენ და სამგზის სანატრელნი,
რამეთუ ნაწილნი ვართ ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობე-
ლისანი“.



ქუთაისის აკადემია

(ედღენება გოგიტა მოსეშვილის ხსოვნას)

დუმილი გაჩრილ ფარნების ჩრდილში,
მიჰყვება ფიქრით ქუჩას მტვერიანს,
ნესტიან კედლებს გადაკრავს ლიბრი,
აქ კაცის სიტყვას სხვა ელფერი აქვს...

ოთხივე კუთხის ხაზების მწკრივი,
ითვლის ყველა დღეს და წლებს სევდიანს,
გისოსებს კვეთდა მთვარის ლიცლიცი,
დღეს ძველ მეარღნეს ელოდებიან...

რამდენი სიტყვა ნათქვამი დღისით,
ჩუმი დარდებით ტეხდა ბნელ წყვდიადს,
ბათუმ, დუდუკამ და მაციმ იცის,
ღმერთის კარებთან მოსეს ხვდებიან...

ზასტავას, ჭადრებს და ძველ უბნებში,
ბებერ გორაზე ციცკით თვრებიან,
„პიკასოს ბიჭი“ თეთრ ქვებთან უცდის,
ქრონიკელების დაზრდილ მგლებიანს...

კვეჟოს ანგელოსს, ტაძრის კარიბჭის,
იცავს მლოცველთა გუნდის ფერია,
პატივისცემით და სიყვარულით,
სადღეგრძელოზე ფეხზე დგებიან...

თუ ხარ სავარდო ქალაქის მკვიდრი,
სწავლობ ცხოვრების აკადემიას,
აქ ყველამ თავის ადგილი იცის,
ტურები ხვრელში იმალებიან...

ჩემი მონაცემი- ჩემი სიმდიდრეა



ლურჯი ღიღილო

(ლალიტას და გიორგის)

ფოტოებიდან ავკრებ ღიმილებს,
ჩითის პერანგზე დაგიყრი პეშვით...
ოქროს ძაფებით მოწნილ გვირილებს,
მთის ალიონზე ჩამიბნევ თმებში

ღმერთის ენიდან ასჯერ ვღიღინებ,
ლილს ამოგაცლი სურვილის ეშხით
ლურჯი თვალებით ყიდვას მიპირებ,
დაგემალები ღიღილოს მტვერში...

იმერული ქარები

(ლალიტას და გიორგის)

ათი-ათას ფერად-ფერად,
ჭრელა-ჭრულა ზღაპრებით,
ტუჩებს ისევ დაგიკოცნი,
ბროწეულის კაკლებით.

გოგმან-გოგმან დამფრთხალ მწყერად,
ფერად-ფერად ბაბთებით,
იმერულად ისევ ქარებს,
მოვაყოლოთ ამბები...

ბელურასავთ ვარ მე უენო

ღვთისმშობელი გზრდით დღემდე უდედოდ
და დედის ხელი თმას ველარ გვარცხნით,
თქვენი სურნელის და კოცნის გემო,
ნესტოების წინ თავხედად დამდის...

ყველა წუთს ვითვლი მარტო უთქვენოდ,
მე თქვენს ძახილზე ანგელოზს ვგზავნი,
როცა უფალი ინებებს თვითონ,
მზეჭაბუკების დედებად გაგხდით...

როგორც ბელურა ტოტზე უფრთებოდ,
ბედნიერ წუთებს აქედან ავთვლი,
მომიტევით, რომ გქვიათ უდედო
და ჩემს უბეში არა გაქვთ სახლი...

ბელურასავით ვარ დღეს უენო,
მონატრებისგან მე დარდით დაღლილს,
ლოცვით მოგაცხებთ იმ წმინდა მირონს,
მზე კი კესანებს ჩაგიბნევთ თმაში.

(P.S. ეძღვნება ჩემს ქალიშვილებს ლალიტას და თეკლას)



დედ-შვილობა

ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ნანა, შვილო, ნანა, შვილო დედისა,
მენატრებით, გადავადნე საათები კედლისა...

მე ჩემს გულში აკვანს გირწევთ, იადონის გლეხისა,
სულის სულში მიმოგაბნევთ ცისფერ კესანებისა...

ჩითის კაბას შეგიკერავთ, იასამანებისა,
მზის ღიმილას ღვთისმშობელი გიგალობებთ კელიას...

არ მასვენებს მონატრება, სამშობლოს და თქვენისა,
ჩაგხუტებთ, არ გაგიშვებთ, ნახვა თუკი მელირსა...

აღისასა, უფლისასა, ღმერთი ბრძანებს ერისას,
საქართველო გაბრწყინდება ანგელოზთა ხელიდან...

ყველა გზების დასასრული სიყვარულის ფესვია,
შვილი, მიწა და ტაძარი გველოდება ემიგრანტს...

ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ, ნანა, შვილო, ნანა შვილოს ვმღერეივარ,
დედ-შვილობას აამღერეთ უსამშობლო დედისაც...



შვილები

შვილის მონატრება ჩემზე ამაყია,
თქვენი გაღიმება ღმერთის მაყარია,
ეს სიყვარული ხომ, დედის წამალია,
მთელი დედამინა თქვენთვის ალალია...

ამ ჩვენს საქართველოს დარდი ახატია,
ბედკრულ მზიანეთის ჯავრი მაბადია,
მუმლი უსირცხვილოდ ხეებს აფარია,
მზიან ქვეყანაში რუხი საფარია...

შვილის სიყვარული ცისკრის მაგვარია,
ცისფერ ბილიკებით ღმერთთან სავალია,
ჩემი მზის სადარი, მთებზე მაღალია,
დედა ღვთისმშობელს და ქრისტეს აბარია...

იარა

ყველა იარა გაქრება ერთ დღეს,
ყველა ტკივილებს წალეკავს ქარი...

მიყუჩდებიან ფიქრები თქვენზე,
როცა შეხვედრის დადგება წამი...

მოლოდინების მაღამოს ვეძებ,
სულის ტკივილის, დე, დამრჩეს ვალი...

ჩვენი შვილების გარეშე ვერ ვძლებთ,
მეოცნებება ის დრო და ჟამი...

როცა ხელგაშლილ გულის კუნჭულში,
დედას ჩაიკრავთ, ჩიტს როგორც ბარტყი...

გამათჰეთ, ღა!

მეგონა სითბოს ვიგრძნობდი,
ცრემლით თბებოდა ღანვები,
იმდენად მენატრებოდი,
ლოცვით ღამეებს ვათევდი...

ცაც ცარიელი შემომრჩა,
მე მტკივა სევდა ამდენი
თოვლის ფიფქებით მორთულან,
შიშველ-ტიტველა ატმები...

ატმისფერი გაქვთ ღანვები,
სიყვარულს გიგავთ თვალები..
გადამიფურცლეთ დღეები,
გნახავთ და მოგეფერებით...

პანანინა ანგელოზო!

ჩემო ციცქნა ანგელოზო,
თვალეbs ისე აცეცებ,
პანანინა თითუკებს კი
ჩემს სახეზე აცეკვებ.

მინდა შენი ალერსი და
ეს ტკბილი ხმა მავსებდეს,
საცრისხელა თვალუკები,
ზღვის და ცის ფერს მახსენებს.

გაიზარდე სასახელო,
უფლის გზებით მავალი,
იდლეგრძელე, გამახარე
წელიწადი მრავალი.

დედალვთისა შეგეწიოს,
მადლი მისი გეფინოს,
ანგელოზნი გმფარველობდეს
გელვიძოს თუ გეძინოს.

დედა ტბილად სასთუმალთან
გიგალობდეს ნანინას,
შენი დღეგრძელობის გარდა,
ქვეყნად მე სხვა რა მინდა.

(ექლვნება ჩემს შვილიშვილს თომასის)

შოკოლადის ზღაპარსახლი

ბები, მინდა შოკოლადის,
გამიკეთო სახლი ბალით,
მზე დამისვა ფორთოხალის,
კარამელის მყავდეს ძაღლი.

ფერად-ფერად კანფეტების,
თაიგულით მოვრთოთ კარი,
ცისარტყელას შვიდი ფერის,
ჟელიბონის ტკბილი რკალით.

ტოფი-ტოფის თეთრი ღრუბლის,
ბაბუმ გამიკეთოს ნაძვი,
ჭრელა-ჭრულა მრგვალი ბურთი,
იყოს თაფლის კვერის მსგავსი.

ფუმფულა და თეთრი კრემის,
ფისოს დიდი კრუასანი,
შაქარყინულების ვაზით,
ბარამბო და სუფლე მარწყვის.

(ექლვნება ჩემს შვილიშვილს ლუკასის)

ლუკასი და ტასია

აბა, ჩემო ტასია,
მოკლე კაბა გაცვია,
გავიპაროთ აქედან
შოკოლადის სახლშია.

ნაძვის ხეზე ასხია,
მაიმუნი მანჭია,
საყვარელი ბაჭია,
ყურცქვიტა და პრანჭია.

საახალწლოდ არ მინდა,
გაგებუტო ძალიან,
ტკბილეულის მაგიდა,
შემიჭამე თავიდან.

მეგობარო ტასია,
მეთამაშე ახლიდან,
ბუტე-ბუტე არ მითხრა
და ზოოპარკში წაგიყვან.

ჩემი სახლი

(ეძღვნება ლუკასის და თომასის)

დამიხატეთ, ბებო, სახლი,
სახლზე თბილი ბუხრის კვამლი,
ეზოს ღობეს ჰქონდეს კარი,
კართან თეთრი ალუბალი...

დამიხატეთ, ბებო, ვარდი,
მოაჯირზე ამაღალი,
თეთრი მაგნოლიის ბაღში,
თვალხატულა იის ჯარი...

დამიხატეთ, ბებო, ტაძრის,
გუმბათი და დიდი ჯვარი,
უფალი და ღვთისმშობელი,
იყოს თქვენი საფიცარი...

შუუცნობიერა გზანი უფლისანი



ზიარება...

თუ სიძულვილი დაგამონებს წყეულ დროებას,
თუკი სიხარბემ აგიჭრელა სათნო თვალები,
მე მეშინია, ველარ დაძლევე ამ ბოროტებას
და ზნედაცემულ ანგელოზებს მიეზარები...

თუ ეგოიზმი სულ ყველა ძარღვს შურით შეეკრა,
თუ უსასყიდლოდ გაგიავდა ტკბილი ჰანგები,
ეს იმას ნიშნავს, აღარ შეგრჩა სულის სინმინდე
და უფლის გზებზე ამოგივა ეკალ-ბარდები...

თუკი ხედავ, რომ ვერ დაძლიე უმადურობას,
თუ შენი ჩრდილიც მიგატოვებს უშნო ზმანებით,
თუ შეშინებულს სიმარტოვე ამოგაყვირებს,
სიონის კედლებს მიაბარე ავი ზრახვეები...

თუ კიდევ შეგრჩა სახარების რაღაც ფრაზები,
თუ სინანულის ტირილამდე მოგყვა დარდები,
უფლის ლოყაზე მიხუტებულ დედა ღვთისმშობელს,
შეევედრე და შავი ღვინით ეზიარები...



შობის სასწაული

ღალატის მიზეზი არ იყო მდაბიო,
შური და ვერცხლი ხომ ფანდია ისედაც,
მოკეთე ზრახვებში სიმდიდრეს არ ითხოვს,
გულში სინანულით სიყვარულს გვპირდება.

ფრთები და მანტია არ არის საჭირო,
თუ გინდა, რომ ჰყავდე მეგობარს იმედად,
ქრისტეშობიდან წლის ყველა ალილო,
ღვთის მადლით მოსავს სამყაროს სიმებად.

ღამის ლანდები დღეს შობენ ალიონს,
წლის პირველ განთიადს მზე მოჰყავს ღირსებად,
ჯადოსნური ცა ლოცვებით აივსო,
შობის სასწაულის, ახდენას გვპირდება.



ღმერთის ქაზნაში

ჭორებმა აგვკიდა ულევი ცოდვები,
ბოროტი უსახურ კაცობას წაბილწავს,
შური და ღალატი ტრიალებს მოძმეში,
ერთგულებით კი არავინ გაგიტანს.

ღმერთის შვილი და ეშმაკის მონები,
ათი მცნებიდან არც ერთი არ გვიყვარს,
თვალეში შევცინით ერთმანეთს მოთმენით,
არა და ზურგს უკან ათას შხამს დავჩნრიკავთ.

ცამეტჯერ დავთვალეთ ოქრო და ვერცხლები,
ცამეტი სანთლის ფულს ცამეტჯერ ჩავრიცხავთ,
იმ მამა ღმერთის სიყვარულს მოვყვებით
და სიძულვილით მეგობარს გავწირავთ.

ვქადაგებთ ყველაფერს, არადა რომელი?!
რომელი სიბრძნიდან დავიცავთ ასპინძას,
სხვის თვალში ბუსუსებს ვპოულობთ ყოველი,
ჩვენს თვალში ვერ ვხედავთ აღრენილ ხარის თავს.

ჩვენ გზას ცოდვილი მივყვებით მოწყენით,
ცხოვრების ახლართულ და მძიმე ხარიგას,
უფალო, აღმართი გვასწავლე მოთმენის,
გზადაგზა დაკარგულ სიყვარულს დავკრიფავთ...

ცოდვას გამხელილს

არ მასვენებენ ტკივილები წარსულ დღეების,
სულს სინავარდე ეფინება ღმერთთან შეხებით...

დაუღენია ყველა გრძნობა მტვერთან შეფერილს,
აღმსარებელის თვალთა მზერას, ახლად შეღერილს...

დაველოდები მოთმინების ღუზას თუ ესვრის,
ხვალ ამ მოლოდინს, ვნებააშლილი ქარი მოელის,

ლოცვას იგლოვებს ცრემლიანი ცრემლიან ხატთან
და დაატირებს ტკივილიან ცოდვას გამხელილს...

ჩემი ნანა

მარიამობის ღამის მთვარე,
დილას გადმოჰყვა...
მიძინებული უცხო მხარის
რიჟრაჟს რა მოაქვს?!
რატომ... არ ვიცი, მაგრამ დილას
სხივი არ მოჰყავს...
მზეს ველოდები, თუმცა, მზეს ცა
ცვარავს რატომღაც...
აქაც განთიადს,
ლაჟვარდების ფერი გადმოჰკრავს...
მაგრამ ქართული ცისა ფერი,
სხვა ცას არ მოსავს...
აქაც მღერიან ბაღღებისთვის,
წმინდა სალოცავს...

მეგრულ ნანას კი,
ჩქიმი ნანას, ღმერთი ჩამოჰყავს...
მონატრებული ღვინობისთვე,
ქართულს ცად მოსავს...
დედა ღვთისმშობლის
მადლიანი კალთა დალოცავს ...

მეშინე მშვიდობით!

მონამულ რელსში წვიმაში თუ ცას ჩაახედებ,
ცხელი შუქები აგიჭრელებს ცრემლიან თვალებს,
მეშინე მშვიდობით!

ვერ დამაფასე, როცა გრძნობის შემწედ მიგიღე,
გაორებული კაცის როლით ქმნიდი ლეგენდებს,
მეშინე მშვიდობით!

როცა ნაძვებსაც დაუმძიმდათ თოვლებით მხრები,
ტკივილიანი წვიმის ზიდვა აალებს ვნებებს,
მეშინე მშვიდობით!

ერთადერთობის პრეტენზიით გულს ავამხედრებ,
დაუნახავი სიყვარულის ტრაგედიით სულს დავიმძიმებ,
მეშინე მშვიდობით!

როცა იმედებს და სიყვარულს არ გააღმერთებ,
მოსალოდნელი მოლოდინის გაცრუებით და არახდენით,
მეშინე მშვიდობით!

სიცარიელის სამეფოში, ზეცის ტალღებში,
ნაფერებ ღოცვით, დაგითვლიდი უღმერთო წამებს,
თუმცა, მშვიდობით!

ანგელოზთა

პეტრე-პავლეს სატრაპეზოს ანგელოზმა
გალობები მიმოფინა ადრიანად,
მონა ღვთისა ზედაშეს სვამს, ლოცვას ამბობს
და ცოდვილმა შეცოდება აღიარა...

გარიჟრაჟზე აღმაცერი მთვარე მიმზერს,
მოლიცლიცებს, დიდი გზები გაიარა,
შიში მიჰყრობს, უშენობის ათვლას ვიწყებ,
დარდებს ვატან ცრემლის დილას დარდიანად...

ჩემზე ფიქრში ვიცი სიზმრებს ემალები,
დაღმართს ირჩევ, ნისლში გზას ვინ გაგიკვალავს?!
სკივრმა ვეღარ დაიტია ჩემი ლექსი,
უშენობა ღმერთამდის რომ აიტანა...



უფალო, მოდი ჩემთან!

გათენდეს, მაგრამ უშენოდ - არა,
უშენოდ, ღმერთო, მე არსად წავალ,
ისე მომინდა დღეს შენი ნახვა,
შენს ნაფეხურებს დავკოცნი ახლა...

გეძებ და თითქოს, დაგკარგე სადღაც,
სერაფიმები მღერიან მაღლა,
მომტევებელი არავინ არ სჩანს,
არადა, მითხარ, უშენოდ რა ვქნა?!...

ათივე მცნება მასწავლე, მაგრამ
ცდუნების ვაშლი წავართვი ადამს...
აღსარებისთვის მე ჯერ მზად არ ვარ,
ვერ გადავიტან ჯვარცმაზე გაკვრას.

მე მაინც გელი, ცოდვილი კართან,
სინანულისთვის ცრემლებიც გაშრა,
საჩუქრად ველი სიყვარულს ათასს,
თაფლის სანთლებით მოგირთავ ტაძარს...

ამაღამ მოდი, გავაღებ რაზას,
ვარსკვლავებს მოვფენ ბილიკზე გზა-გზა,
მთვარეს აგინებ ჩირაღდნის ნაცვლად,
უფალო, მოდი! ამ გულის კართან...

შობის ღამე

თეთრად შეფერილა ნაძვის კულულები,
რალაც იდუმალი სევდა მიფარფატებს,
ძილად მივარდნილან ღამის შუქურები,
ხსოვნას შემორჩენილ დღეს რომ მილამაზებს...

უკვე ყირაზე დგას მთელი მოგონება,
თითქოს აღმაცერი მზერა მითვალთვალეს,
ჩემით დაწყებული ყველა თბილი ზგერა,
შენით დამთავრებულ სონეტს მითამაშებებს...

წლების კიდობანში კიდევ ერთი ფუთა,
წიგნად აკინძულა, გული გამიზღაპრეს,
ქრისტეშობის ნატვრა, ყველა რაც კი თქმულა,
შობის ანგელოზი ვიცი, ამიცხადებს!



გაპატიი სიმაართლე

რაც უნდა ფართო იყოს ქუჩები,
ვერ დავეტევით ჩვენ ორნი ერთად,
გაპატიებდი, რომ გნამდეს ღმერთი,
მაგრამ უღმერთოდ ვერ მოხვალ ჩემთან...

ამ ერთ ქალაქში, წმინდა ტაძრებში,
ვერ მოილოცებ, ვერ მიხვალ ღმერთთან,
მებრალეობდი, როდესაც „მკლავდი“
და უსირცხვილოდ ლოცავდი შენს თავს...

მე ჩემი ცოდვის გუდებს ვზიდავდი,
შენი ცოდვები მინდოდა რაღად,
ფარისეველი, ფლიდი და ყალბი,
ვერ დაიმკვიდრებს სამკვიდროს ცათა.



მესიზმრა

წუხელის ცუდი სიზმარი ვნახე,
მესიზმრა, თითქოს ღმერთი ტიროდა,
უსულგულობას ეპყრა მახვილი,
ურწმუნოთ ხელში გადადიოდა...

თავით-ფეხამდის ჭუჭყში დასვრილი,
ადამიანთა ზღვა მოდიოდა,
წუხელის ცუდი სიზმარი ვნახე,
მესიზმრა, თითქოს ღმერთი ტიროდა...

ვნებაახდილი, თვალცრემლიანი,
ადამი თავის მოდგმას ჩიოდა,
მზე ღრუბელს კვეთდა,
იმედი - ფიქრებს,
და ცისარტყელა ამოდიოდა!

ექლვნება ირმა ყურულამვილს

უფრო ანგელოზი

მე გამოვძერწე ანგელოზი, თვალცრემლიანი,
პოეტურ ხედვით დავუხატე თვალეებში სევდა,
ოქროს ძაფები ამოვქარგე, თასმეზიანი,
რალაც ღვთიური რომ ჰქონოდა ოცნებას ფრენა...

მერე გრძნობები მივანერე ზღვას ვნებიანი,
მსურდა, მეცადა ამოუცნობ სურვილის ხედვა,
მედარდება, რომ არ ვიყავი ალერსიანი,
უფრო ანგელოზს ველარ ვხედავ ბედნიერს მზედა...

ბთხოვ ზიარებას

დანაშაულებს,
 ჯერ არჩადენილს,
 სიყვარულს მალულს,
 ჯერ არგამხელილს,
 ფერს თოვლის ფიფქის
 ჯერ არგაფერილს,
 ოცნების კადრებს
 ჯერ არახდენილს,
 კანონის ძალას,
 ჯერ არდანერილს
 ჩუმ, წმინდა ცრემლებს
 ჯერ არდადენილს
 და ადამის ნეკნს
 ჯერ ვერადგენილს,
 ამ ცოდვებს ჩემსას
 ჯერ არჩადენილს,
 თეთრ ლანდებს, ნაზად
 მხრებზე დაფენილს,
 ჩემს ლექსთა ფრაზებს
 ჩვენზე დანერილს,
 აღსარების დღეს
 ჯერ არდადგენილს,
 გთხოვ, ზიარების
 სურვილს, ახდენილს!



სულის ხიდი

მამაო, სულის ხიდს
შენს ლოცვად ნაფერებს,
უფლის გზას ვეძებთ და
კვალს როდის გვაჩვენებ?!
ეკლები ფარავენ, მამაო,
ტაძრის სვეტს,
ლოცვებით დავლენავთ
ბოროტის ნაშენებს.
მამაო, მწყურვალის
ცრემლებით ვებნევით,
ცოდვების აკიდოს
მოვათრევთ ბეჭებით,
მამაო, ბონდის ხიდს
გავივლით ეჟენებით,
მიუსაფარებს
მირონით შევხვდებით.
ღარიბს და მდიდარის
ჰორიზონტს ვერ ვწვდებით,
ბოროტზე კეთილი
იმარჯვებს ედემში,
გულისგულს ვასახლებთ,
სიკეთის ზღვას ვთესავთ,
თანაბრად გავუყოფთ
უცხოვს და ნათესავს.

პეტრე-პავლეს ტაძარი

პეტრე-პავლეს სატრაპეზოს ანგელოზმა
გალობები გადმოჰფინა ადრიანად...
მონა ღვთისა ზედაშეს სვამს, ლოცვას ამბობს
და მხევალმა თვის ცოდვები აღიარა...

გარიჟრაჟზე აღმაცერი მთვარე მიმზერს,
მილიცლიცებს, დიდი გზა რომ გაიარა...
შიში მიჰყრობს, უშენობის ათვლას ვინყებ,
დარდებს ვატან ცრემლის ქილას დარდიანად...

ჩემზე ფიქრში ვიცი, სიზმრებს ემალები,
დაღმართს ირჩევ, ნისლში გზას ვინ გაგიკვალავს?!...
სკივრმა ველარ დაიტია ჩემი ლექსი,
უშენობაც ღმერთთან ჩემი აიტანა...



ემიგრანტების ტკივილი!

ემიგრანტები ტკივილით მღერიან...
ტაძრის კარებთან ჯვარცმას ელიან,
უფლის ნაბიჯებს გავყვებით სევდიანს,
ეს მხოლოდ ჩვენი ჩაგრული ბედია.

აქ მზეც თითქოსდა ძალზედ მწველია,
დაისის ცა კი უფრო ბნელია,
უცხო მიწასაც სხვა სურნელი აქვს,
დედები ხსნად წირვაზე გელიან...

გადაწერილი სცენარით ხელში
აქ ყველას დილა ერთი ბედია...
ნესტოდაბერილს მიხმობს კერია,
აქ მილიონიც ჩვენთვის ცენტია!...

პეტრე-პავლობის ტაძრის კელია
მანდ ხომ დაისიც ფრესკის ფერია?!
ხის ჭრიჭინებიც ლოცვას მღერიან,
გიორგობისთვეც მომნატრებია...

მაჭრის სურნელის მონაბერია,
ზეცა დამსხვრეულ ჟანგის ფერია
მგლისფერ რიჟრაჟზეც ამტირებია,
მამაო, ლოცვაც, მაღლიც თქვენია...

ჩვენ დაბრუნების იმედით ვცოცხლობთ,
დედა-შვილობა ვერ გვიგემია!...
მრავალჟამიერს დავუნთებთ კოცონს,
იმ იავნანის, რაც გვიმღერია...

„ჩვენ მარცხლებს გამოჰყვებით“

ღმერთო, დავიღალე,
 დამპირდი, მიშველი,
 თვალებს არ ელევათ,
 ცრემლების მძივები.
 თურმე ანგელოზებს
 დაუცვდათ ფიქრები,
 გთხოვ, რომ დამიფარო,
 დღითიდღე ვიცლები.
 დასცვივდათ ნაძვებსაც,
 ძველ-ძველი გირჩები,
 უნდა ამისრულო,
 ოცნება ცისფერი,
 დედ-მამის საფლავი,
 მომირთე იეებით...
 წმინდა მარიამო,
 კმარა ნუ იბნევი,
 უკვე ყველა ღამე
 ვედრებით ვილლები,
 დილით გაღვიძებულს,
 მხოლოდ მზე მიცქერის.
 უნდა ჩამახუტო,
 ნანატრი შვილები.
 ნეტავ ჩემს ტაძარში,
 ისევ დგას ის ბერი?
 იქ, სადაც ხატია,
 დედაღვთისმშობელის.
 უფალო, ცალ-ცალად
 ნელ-ნელა გიკვდებით,
 სულიწმინდის მადლო,
 გვაშორე მითები,

მავთულებს დავხნით, რომ
შავ მერცხლებს რიგებში,
გამოვყვით შენთან და
სულ ერთად ვიქნებით!

ღალატის მიზეზი არ იყო მდაბიო,
შური და ვერცხლი ფანდია ისედაც,
იუდას ზრახვებში სიმდიდრეს არ ვფიქრობ,
გამცემი აღმოჩნდა რჩეული მამიდან.



უფალო, დავიღალე!

უფალო იესო,
 დიდი ხარ, გინამე,
 ღვთის გზაზე მინდიხარ,
 ვიცი, რომ მისაყდრებ.
 შექმნილი მიწისაგან,
 ჩემს ღლეებს მივათრევ,
 ძალიან მიჭირს და
 ეს ცოდვაც მიმაღე.
 სიმწრისგან ღიმილით
 გრძნობები მივფანტე
 და ზღაპრისფერის
 დილის მზე ვინატრე.
 მეგობრის გიჟი ვარ,
 ნდობას ვინ მიმართლებს?!
 შენი ვარ...
 სხვისი ვარ...
 ფერებში მიმკარგეს.
 ხანდახან შიშიც მაქვს,
 წამართვან სიმართლე...
 ღვთისმშობლის შვილი ხარ,
 საშველი მინახე.
 უფალო, სულის დარდს
 ყოველდღე ვინანებ,
 მხოლოდ ჩემს შვილებს
 აჩუქე სინათლე...

უფალო, შამინყალა!

მე დავბრუნდები, მამაო,
მაისს მოვყვები შენამდის,
ათასი ცოდვა უსიტყვო,
და გამხელილი ყელამდის...
არ მიმატოვო, დამჩემდი,
გადამისახე ჯვრის მადლი,
უსიყვარულოდ თენდება,
ლამე იცლება მისსავით...
გადავიღალე უმამოდ,
დარდები ვზიდო როდემდის?!
გაზაფხულები გათავდა,
ჯერი რომ მიდგა მოთმენის...
ღმერთი დავკარგე უვადოდ,
ახლა ვფიქრობ და ვლონდები,
პეშვით მოგიტან ცრემლებს და
გთხოვ, შენი მადლი მომეცი...
ყვავილებს დავკრეფ უმანკოს,
ალიონის დროს მოგელი,
შენყალებით და შენდობით,
ნარსულის დარდი მომხსენი...



მონანიება...

დასაბამიდან უფალს ვყიდით ბინძურ ვერცხლებად,
შენდობას ველით ცოდვებისთვის შემდეგ უვადოდ...

განა კი ღირდა ამ სამყაროს ღპობა ცენტებად,
როცა ბავშვები იბადება ისევ უმანკოდ...

ვერსალს ჭაღები მოურთია ცოდვის ფერებად,
ბრმა კი კუთხეში ილოცება ხატთან უსანთლოდ...

სირიელ ბავშვის ნაამბობზე ღმერთი შეშდება,
სულწაყმედილი შევრჩით ხელში, დღესაც უდავოდ...

ახლა ფრესკებსაც ჩარეცხავენ რაღაც თეთრებად,
სიხარბეს მონად გაუხდია კაცი უბრალო...

დღესასწაულზე ევა - ევას როცა ეცეკვა,
ადამის მოდგმას შეუფარდეს ტანჯვა უფასოდ...

მინა იხრჩობა დედა-შვილის უხმო ცრემლებად,
ერთმანეთს ვყიდით, რომ მამაოს ცოდვა ვუამბოთ...

უსიყვარულოდ ჰორიზონტზე მზე ვერ ეშვება,
გაქცევა მინდა, ეს პლანეტა დღეს რომ უარყო...

მე საქართველოს მოვიკიდებ დიდ ხურჯინებად,
დედაღვთისმშობლის წილხვედრია, მომაქვს, უფალო...

უფლის იმედად

იმდენ ანგელოზს დედამინა იტევს ფრთებიანს,
მეშინია, რომ ჯოჯოხეთში მარტო დავრჩები...
სულაც არ არის გასაკვირი ენდო ვნებიანს,
წმინდა სახეებს ღალატში რომ გადააწყდები...

ცოდვილი ვარ და ღმერთს მადლობა, რომ დღეს ერთი ვარ,
ამ სიყვარულში ქრისტე ღმერთი სულ მყავს თავდებში...
ორიათასი წელი უკვე ველი შეკითხვას,
ჩემი გულისთვის რატომ მოხდა შენი სასჯელი?!

კადნიერებად ნუ ჩამითვლი ფიქრებს სევდიანს,
ყველა დილით რომ დაიბადო ჩემში არსებით...
ნდობის ძეხვნაში ერთგულებას ვითხოვ ვეჭილად,
შენს გზაზე მინდა, მუდამ ენთოს ჩემი სანთელი...



მშობელები



შენთან შეხება

სულ ერთი წუთით მოყვეი ქარებს
და წამიერად ჩაგიკრავ გულში,
მოგიყვებოდი უშენო ამბებს
და დამრჩებოდი კადრებად დროში...

სულ ერთი სიტყვა მეყოფა ამ დღეს,
შენი შენდობით მაცოცხლე, მოდი,
აუტანელი ატანით ვათრევ,
მე შენს საფლავთან მოსასვლელ ბოგირს...

გადაეცრიცა დღეები ამ წლებს,
სურნელი შენი თოვლისფერ თმების,
ცისფერ თვალებში ანთებულ სანთლებს,
ღვთისმშობლის მადლი აავსებს ლოცვით...

ჩუმ ნატვრადქცეულ შენ ფერმკრთალ სახეს,
ფიქრებში ვხატავ შუშაზე თრთოლვით,
სულ ერთხელ შენთან შეხება მაქცევს,
როგორც წყალობა ღმერთის და მოყმის.

ექღვნება დედას - ლალი კაკაურიძეს



დედას

დედის სილუეტი
რუხისფერი ასფალტის კონტურებს კვეთდა,
ღრუბლების ზოლში
მზე მალულად აპკურებდა სურნელს საკმევლის,
ძველ გაზაფხულებს
დღესაც ნუშის სურნელი ეცვა
და ისევ ურჩად,
არ მტოვებენ ძველი მარტები.



ვერ გაპატიებ

(დედას)

ვერ გაპატიებ ვერასოდეს გარდაცვალებას,
მიტოვებული იასამნის სურნელს და ჩეროს,
მიტოვებული სიყვარულის არდადარდებას
და შენს გარეშე წუთისოფლის გატანილ ლელოს...

ვერ გაპატიებ დატოვებულ სიყვარულს კენტად
და მოთმინებას, გადაღებილს რუხისფერ რკალად,
ყველა გამვლელში მომლოდინე შენფერა თვალებს,
უსიყვარულო, უშენო და უფერო გზა-კვალს..

ამ მონატრებას ვერ გპატიობ ვერასდიდებით,
მოახლოვებულ ზამთრისპირზე სიცივე მაკრთობს,
რომ ჩამიხუტო კიდეც ერთხელ მაგ თბილ თითებში,
იქნებ ოდესმე შეინანო და გაპატიო...



დ ე დ ი

(ჩემს ლამაზ დედიკოს, ლალი ბრეგვაძე კაკაურიძეს)

დამბერებოდი თმაში ჭაღარით,
იქნება ერთად გვენახა თოვა.
ისე მომინდი, ცაში ამ ღამით,
ანგელოზების მოჯარედ დგომა...

ხეები ორსულ კვირტთა ამალით,
მარტის მიწურულს იწყებენ ბოდვას,
უშენო გაზაფხულს ვეძახი მალვით,
ენძელის თოვლზე, იაც რომ მოჰყავს...

დღითიდღე მეტად დაგეძებ დარდით,
სინანულს ნატვრა სტკივდება, როცა
შენი ცისფერი თვალების დარდი,
სანთელივით რომ მინათებს ოდას...

გადავიღამე მოლოდინებით,
შენამდე მანძილს ცრემლებით მოვრწყავ.
ყველა სიყვარულს ვარიგებ, დედი,
და ვალმოხდილი შენამდეც მოვალ...



ჩემი ნახევარი შენთან მყავს, დედა!

შენთან მოსულს რომ აღმართს ავყვები,
მოგეპარები და დაკრეფილი იასამნების
სურნელს აგიტებს, აურზაურით რომ მენატრები,
შენი ბალების და ნაფერები ყველა საგნების...

დაგნებდი ისევ, გეფიცები, სიტყვას არ გეტყვი,
მხოლოდ ამ ერთხელ მომაცოლე ჩემი ამბების
უზარმაზარი და ნაწვალები დიდი დავთრები,
შენიდან დღემდე, უშენობით რომ ვენწალები...

მე ნახევარი, შენს გარეშე ვეღარ ვთავსდები,
ამ დაღწილი დედამიწის ვერცერთ არეში,
ლიტონი რჩება ყველა ფრაზა ჩამთან ნამღერი,
თუ შენს სიყვარულს არ დაიტევს მისი ჰანგები...



ანდა ხვალ დილით, ემიგრანტი ქალი არ მერქვას
(ედღენება მამას ნიკოლოზ კაკაურიძეს)

მე არ მოვმკვდარვარ, გარდავიცვალე...
როგორც გაზაფხულს,
სუსხი ლენავს იმ ბალის ატმის,
შენ რომ დამირგე და იცოდი,
ველარ ნახავდი, მის ფერად ყვავილს...
აღარც ცრემლები,
მხოლოდ მახრჩობს რაღაც ისეთი,
დარდსა და ტკივილს რომ ეძახდა
დედა უთქმელად,
როცა უმზერდა შავ-თეთრ ფოტოს
და აღარაფრის უთქმელობით
ტკივილს უძლებდა...
მეც დავიღალე
და ამიტომ მიმაქვს დარდები,
ალბათ არ მინდა, რომ იგივე იგრძნონ
ბავშვებმა...
თორემ ცრემლები,
პირობითად თუკი ვახსენე,
უბრალოდ სიტყვა,
არ შეფერის ამ ცივ ზმანებას...
თუნდაც ერთი დღე რომ დაბრუნდეს
შენთან შეხვედრის,
ანდა ხვალ დილით
ემიგრანტი ქალი
არ მერქვას!

ამ დღეს მამამ მიატოვა

(ედღვნება მამას ნიკოლოზ კაკაურიძეს)

დამიბრუნდი,
ხომ გიყვარდა გაზაფხულის სიახლოვე,
ჭინჭყლი მარტის ჭირვეული ამინდები.
დამიბერდი,
ფიქრის ფიქრში ყოველი დღე გიმახსოვრე
და ყველა წელს მიგახატე ჭაღარები.

ამიყვავე,
შენს ეზოში ვენახი რომ მიატოვე,
ციცქა ყურძნის ქარვისფერი ნაჟურები.
მომენატრე,
ძველებურად ჩემი სულის სიამბოხეს,
ჩაანაცვლე უთქვენობის დუმილები.

ამიჟღერე,
ძველებურად აკორდები მისახსოვრე,
დაისი და მაჟორული სონეტები.
გამინათლდე,
ყველა მოხუცს მე ღიმილით ვუამბოვრებ,
მოგიძებნი, მათ თვალეებში მოგიძებნი...



ფურისულეზი

(დედას)

ამ გაზაფხულებს ველარ ვიტან დედის გარეშე,
გთხოვ, მაპატიე, რომ აცრემლდი, დედა მარიამ,
ფურისულეზი აყვავილდა, დე, შენ სახეზე,
ცისფერ ყვავილებს ეს ღიმილი გადახატვიათ...

დღესაც უძილო მონატრება ტკეპნის ღამეებს,
გთხოვ, არ იფიქრო, დამავიწყდი, თუნდაც წამითაც,
შენს თვალის ფერზე გადავლებავ ყველა მარტის დღეს,
შენი სურნელით ამ ჩემს ნაწილ ჰაერს გავფილტრავ...



ဒီကမ္ဘာပေါ်မှာ ဒီမင်္ဂလာပွဲ



ჩანახატი

(ექლვნება ქეთი ბერძენიშვილს)

იქ, სადღაც მთის ქვეშ,
სადაც მინდვრის ათასფერი ბალახ-ბულახი,
იმდენად ლამაზ ფერად ფერებს ქმნიან ჯაჭვურად,
ეს დოგმატური დრესკოდი და ფიმფო-ფამფოდ ანონი-
ლი მისალმებები, სამ სანტიმეტრზე გაზომილი თავაზიან
ქალის ღიმილი,

როგორც თევზის უმეტყველო ცივი მზერა კვლავ შე-
ლახულა...

მე წამივიდა იმ ქვეყნად ქალი, მეგობრის ქალი...

ღიმილიანი სიყვარულით და სათნოებით ესაუბრა თვით
მაღალ ღმერთსაც...

და ახლა თქვენი დანერგილი კანონი ხალხის, მე ეს იმ-
დენად მეცოტავება, გენში დარჩენილ ქართველობის ყვე-
ლა უჯრედში, იმის შიში მაქვს, რომ არ მოხდეს მოლექუ-
ლების მეთილირება...

ეს ისე ჩემთვის...

ვფიქრობდი შენზე, ჩემო ქეთი, და იმდენად მტკიოდი
ჩემში, ვერ გაგიბედე ორი სიტყვა მომეძღვნა შენთვის,
ვერც ვერაფერი დაგიწერე იმაზე მეტი, როცა ვხედავდი
ატირებულ ქუთაისს - შეშლილს...

ახლა ჭადრები შრიალებენ მორცხვად და კდემით, შენ
რომ ქუჩებში უნდა გეველო ამაყად შენთვის.

სიყვარულის ღმერთი

უსიყვარულო სამყარომ თავი ბალიშზე მიასვენა და ჩაეთვლიმა... გადაიღალა... ეძებდა უსასრულოდ ფერებს ...

- დე, ცისარტყელა როგორია?

- ფერადი, შვილო...

- დე, ფერადი როგორია?

- ჭრელი გაზაფხულივით, შვილო...

- დე, თეთრი, რუხი და შავი, ესეთია ჭრელი?

- არა, დედი, გაზაფხულს სიყვარულის ფერები აჭრელებს...

- ისე, როგორც შენ გიყვარვარ? დე, გუშინ მე გაზაფხულივით მესიზმრე, სიყვარულის ფერი გაზაფხულივით და ბედნიერი სიცილი ჰქონდა ირგვლივ ყველას... დე, სადღა გაქრა ეს თქვენი ფერადი სიყვარული ?!

- არა, შვილო, არ გამქრალა, სიყვარული შენშია... სიყვარული ჩემშია... სიყვარული თითოეულ მათგანშია... მხოლოდ ჩაეძინა გადაღლილ სამყაროს...

- დედა, ხომ მეუბნებოდი სიყვარული ღმერთიაო, ესე იგი ყველაში ღმერთია?

- დაიძინე, შვილო... აი, ხომ ხედავ, სამყაროსაც სძინავს... ახლა წვიმს, მოინწყინა და გადაიღალა... ფერები უპოვია...

დილით, როცა მზეს გაგიღვიძებ, წვიმას გავაცვილებთ მე და მზე, მერე კი ცისარტყელას დაგიხატავთ ცაზე... სამყაროსაც შეეღვიძება და ყველას სიყვარულის ღმერთი გააფერადებს... დაიძინე, დედიკო, ხვალ ყველაფერი ფერადი იქნება... მიყვარხარ.

გაქცევა

ფიქრობ და გაქცევა გინდა, გაქცევა, მაგრამ სად, ეს უკვე აღარ იცი...

მთავარია გაიქცე...

გენანება თავი, როდესაც ხედავ, მართალზე მეტი მტყუნია,

კეთილზე მეტი - ბოროტია,

გმირზე მეტი - მტერია,

უმანკოებაზე მეტი - ბილწიერებაა,

სიყვარულზე მეტი - სიძულვილია...

იცდი და ელოდები უკეთესს, ლოდინის რეჟიმი კი ღამის ძილს, ქვიშის საათივით ცრის მონოტონურად...

დავიღალე!

მერე ფიქრობ, რომ შენსავით დაღლილია ყველა და ჩუმდები...

იცინი, მაგრამ მორიდებით...

ირგვლივ ყველას მოწყენილი ან არაფრისმთქმელი სახე აქვს...

პირჯვარს იწერენ და ლოცულობენ, მთავარი ეს ჰგონიათ, არადა, ქრისტე გაეპარათ გულიდან...

გული...

ჰოო, გული...

გული გტკივა და ველარ ამხელ... ირგვლივ ხომ ყველას სტკივა გული?!... ყველა ერთ დიდ სფეროშია და იქ მღუ-მარებაა...

გაყინულია სუნთქვა და თვალები მხოლოდ ერთ წერტილისკენაა მიშვერილი...

მხოლოდ თვალები არ ბერდება აქ... მხოლოდ ღამაში და სევდიანი თვალები...

ახალგაზრდობას კი უფრედ-უფრედ ეცლება ყოველ დილით დამჭკნარი ვარდის ფურცლები...

სიცილი?!..

სიცილი მომენატრა, თქვენთან, შენთან და ყველასთან ერთად...

მე თქვენ მიყვარხართ და ეს სიცილიც ალალი იყოს თქვენთვის, თუმცა, შეიძლება არ მეტყობოდეს, მაგრამ ბილიარდის ბურთებივით გაფანტული მარგალიტების ტკივილიცაა მაგ სიცილში...

მტკივა უფრო და უფრო, ეს ახალგაზრდა ბავშვი - გოგონები და ეს დარბაისელი ოჯახის ქალები, ყოველდღე რომ ბევრდებიან და საქართველოში ჩასულს, უდიასახლისო სახლებში სტუმრობა მომინევს, ვიცი...

ხოდა, ამ სიცილს თქვენ გჩუქნით, ჩემი თქვენდამი დიდი პატივისცემის ნიშნად.

თეკლას!

შვილი დედისათვის უფლის საჩუქარია, მაგრამ ამ გოგოს დაბადება, მართლაც, ღვთის ნება იყო.

ახლა მინდა მოგითხროთ ამბავი, რაც ჩემმა უახლოესმა მეგობრებმა იციან და როდესაც ამ პოსტს ნახავენ, ვიცი, ის დღეები აუცილებლად გაახსენდებათ, იმიტომ, რომ ერთად გავიარეთ ყველა დღე.

როდესაც ლალიტა უკვე დიდი გოგო იყო, რატომღაც მეორე შვილზე აღარც კი გვიფიქრია, იმდენად რთულად გადავიტანე საკეისრო კვეთა, სეფსისითა და სერიოზული გართულებებით.

ვიცი, სიზმარი არაეკლესიურია და მე, პირადად, მორწმუნე გახლავართ, მაგრამ რეალურად რაც იყო, იმ ამბავს ვწერ აქ, იყოს, ესეც შემორჩეს ისტორიას.

ერთ მშვიდ, ოქტომბრის გრილ ღამეს, ბევრი ვინრიალე, რატომღაც არ დამეძინა. გამახსენდა ის ემოციები, ზაფხულში რომ სურამის დედათა მონასტერსა და წმინდა გიორგის ტაძარს ვსტუმრობდი ხშირად, მიმქონდა საეკლესიო ლიტერატურა და ვკითხულობდი (არასოდეს დამავიწყდება წმინდა მარინეს ამბავი).

ერთხელ დედაო პელაგიამ მითხრა, რატომ არ გინდა მეორე შვილიო, დედაო, ალბათ, უფლის ნებაა ასეთი-მეთქი და შენ გოგო შეგეძინებაო, ხმაც კი არ გამიღია, მაგრამ ვიცოდი, რომ ეს აბსურდი იყო.

ანუ დავუბრუნდეთ იმ საღამოს... ძალიან გვიან ჩამეძინა და უცნაური სიზმარი დამესიზმრა: ჩემი სახლის (სახლის, რომელიც აღარ მაქვს), სადაც ფანჯრებიდან პეტრე-პავლეს ტაძრის გუმბათს ვუყურებდი და დილით მისი ზარები მაღვიძებდა. რუსთაველიდან მხოლოდ ფეხით ჩამოსასვლელი იყო ტაძრამდე, მერე გზაჯვარედინთან

ცის პანორამა იშლებოდა და ვან გოგის ნახატებივით, მუდამ განსხვავებული და მრავალფეროვანი ცა აფრიალებდა ღრუბლების ქარავანს, ხან კიდევ ღია შაბიამნისფერი კამკამა სარკესავით იყო აპრიალებული ჭიშკართან ვდგავარ და ჩემი პატარა ქუჩა სულ ცარიელია. ვხედავ, ციდან ცისარტყელა ჩამოდის, იმ უცნაური ღია ცის ნაჭრიდან და მთელს ქუჩას ქუდივით ეფარება ზემოდან. რატომღაც ცისარტყელას ვარდისფერი ხაზი გამოეყო თავისიანებს და ჩემსკენ გამოიზღაზნა. ვუყურებ გაოცებით, ბედნიერებით და ვგრძნობ, ენდოფრინის მოლეკულები მაჭარივით თუხთუხებენ ჩემში; ყვევრი, ვეძახი ყველას, მინდა, ნახონ ეს საოცრება, ვარდისფერი ზოლი კი მიახლოვდება და ხელისგულისაკენ აქვს აღებული გეზი. არავინ ჩანს... მე მაინც ვუძახი ყველას... ხელში ბავშვის აკვნის პატარა სათამაშო შემრჩა და ეგრევე გაქრა ცისარტყელაც, მოულოდნელად კი იმ უცნაურ ღია ცაზე დედალვთისმშობელი გამოჩნდა, რომელსაც ჩვილი ჰყავს ხელში და თითიდან სისხლის წვეთი აქვს გადმოსული. ემოციების ზღვაში ვიხრჩობი, მაგრამ ბავშვს ვერ ვეხმარები... ვგრძნობ, დედალვთისა მესაუბრება და მამშვიდებს, სასწაულია ეს ჩემთვის სიზმარშიც კი, მესმის მაგრამ არ საუბრობს, მაგებინებს, რომ არ უნდა შემეშინდეს, ყველაფერი კარგად იქნება... ხატის გამოსახულებაც ქრება და ვიღვიძებ, მაგრამ ვერ ვახერხებ ძილიდან გამოსვლას, ვწვალვობ.

გამელვოდა, ვარ მთლიანად სველი, თითქოსდა წყალი გადამასხეს. გააზრებაც კი მიჭირს და ვერ ვხსნი ჩემს მდგომარეობას. სასწრაფო წესით ავდექი და ტაძარში გავიქეცი, მამა თეიმურაზთან, წირვა იყო. პეტრე-პავლეს ეკლესიის შესასვლელში, ნაბლისფერი ხით შემოღობილი, საკმევლის და თაფლის სანთლების სუნი გაჟღენთილი პატარა შუშებიანი სანთლის ოთახი იყო, სადაც ეთერი

ან ნათელა დეიდა კეთილი თვალებით შომოგცქეროდა. მივუახლოვდი პანანინა ფანჯრის რაფას და მორიდებით მოვიკითხე მამაო, თვალებით მიმანიშნა აქვე დგას და მრევლთან საუბრობსო. მამა თეიმურაზმა დამინახა და ჩემსკენ წამოვიდა. ერთი ამოსუნთქვით მოვუყევი ეს უცნაური ღამის ამბავი და პასუხად მივიღე ორი სიტყვა: შვილო, ორსულად ხომ არა ხარო?!

უსიტყვოდ გამოვედი ტაძრიდან და დედას მოვუყევი ყველაფერი. ზუსტად ხუთ წუთში როგორ აღმოვჩნდი ექიმთან, ვერ მივხვდი. გამიკეთდა გამოკვლევა და პასუხი იყო შემადრწუნებელი: ორსულადაა, მაგრამ გარანტიას ვერ გაძლევთ, ან ბავშვი ან დედა, ორსულობა უნდა შევაჩეროთო, 70%- 30%-ზეო!

როგორც კი მანქანამ ეკლესიის ჩიხში შემოუხვია, ჩამოვხტი და ტაძარში შევედი... ისევ ლოცვაა და ისევ ჩუმად ვკითხულობ მამაოს, ეთერი დეიდასთან. მამაოს ამბავი მოვუყევი, რისკის დონეც, ისიც ავუხსენი, რომ რვა წლის შემდეგ ეს პირველი ორსულობა იყო და ამ ყველაფერს, კიდევ უფრო დამაინტრიგებელს ხდიდა. მამაომ დამლოცა და, რა თქმა უნდა, რწმენის სიმტკიცე, უფლის მფარველობა და მეორე შვილის ბედნიერი დედობა მისურვა.

სულ რაღაც წამებში გაიარა იმ წარმოსახვამ, რაც მელოდა და ორი სიცოცხლის სასწორი გამომქონდა გონებით, ტაძრის კარიდან.

საფეხურები ძალიან მძიმედ ჩავთვალე, ისევ ტაძარში მიბრუნება მინდოდა და იქედან უფრო მყარი იმედისა და ნუგეშის გამოტანა (მწარე ყოფილა სული, თურმე). ბოლო საფეხურზე ეთერი დეიდას ომახიანმა დაძახებამ გამომაფხიზლა: ღვთისმშობელმა საჩუქარი გიბოძა და არ გაანანყენო.

სახლში დავბრუნდი მტკიცე გადანყვეტილებით, მე შვილს ვაჩენ, უფალი მიშველის-მეთქი და ფერება დავუ-

ნყე მუცელშივე მას, ვესაუბრებოდი, ვამშვიდებდი და ვგრძნობდი, რომ ესმოდა. ოჯახში ატყდა პანიკა, ჩემი სიცოცხლე იყო რისკის ქვეშ, რის გამოც ქუთაისის ყველა კლინიკა და ექიმები შემოვიარეთ იმედის მოსაპოვებლად, მაგრამ პასუხი იყო იგივე.

ავანრიალე სამეგობრო, ირმა და ნანა მორიგეობით მოდიოდნენ და დედაჩემს ამშვიდებდნენ

მოახლოვდა საკეისრო კვეთის დანიშნული დღე. რვა ივნისია და ტელეფონზე დედაო პელაგიას დავურეკე მონასტერში, ხვალ დილით უკვე ოპერაციაზე მივდივარ-მეთქი:

- შვილო თამარ, ჩვენ მთელი ღამე ვილოცებთ დედაოები შენთვის და გნამდეს, ორივე ჯანმრთელები იქნებით და ბედნიერი დედა იქნებით.

მეორე დილით სამშობიაროს ეზოში ისეთი შეშინებული სახეები დავინახე, ყველას დამშვიდება მომინია, მოძებნილი ღიმილები დავარიგე იმედად.

საოპერაციო ბლოკში ჩემი ხატები ჩავიხუტე და სევდანარევი ღიმილით ვანიშნე ანესთეზიოლოგს ჩემი მზაობა... ოპერაციის დროს გართულებები ყოფილა, ანესთეზიოლოგი საკმაოდ დიდ დაბრკოლებას შეხვედრია, მაგრამ...

ვიღვიძებ, ბურანში ვარ, სიკვდილ-სიცოცხლის შიში ჯერ კიდევ ვერ მარკვევს, სად ვარ?! ანუ როგორ მდგომარეობაში ვარ?! ამ გაუგებრობაში მოდის ვიღაც ქალი (ექთანი) და ღიმილით ჩვილს მაჩეჩებს... უცებ შევფხიზლდი, ნაოპერაციები და ყინულის ბურთებიდან გამონვეული ტკივილები სულ დამავინყდა და ელვის სისწრაფით შევამოწმე ბავშვი, რომელიც უკვე ყველამ ვიცოდით, რომ თეკლა იქნებოდა. დავუთვალე თითები ხელზე და ფეხზე, ცხვირი და ყურები შევუმოწმე, მერე დიდ შავ თვალებს მოვეფერე და მივხვდი, რომ ბავშვი სრულყოფილი იყო (დედის გიჟური ქცევები ასეთი ყოფილა, თურმე, და მეც

ცოცხალი აღმოვჩნდი, იმიტომ, რომ ამდენ მოძრაობებში იმდენად მეტკინა ნაოპერაციები, ცუდად გავხდი და სასწრაფო წესით გამოთიშეს.

აი, ასე დაიბადა ცხრა ივნისს ჩემი თეკლა, რომელიც რწმენამ და უფალმა გადამირჩინა და დედალვთისმშობელმა მომმადლა ორი ქალიშვილის დედობა.

მორწმუნე, მაღლიანი და ღვთისნიერი ადამიანების მოდგმა ვარ და უფალს და დედალვთისას ვთხოვ, დამიფაროს, გამიხაროს და გამიმრავლოს შვილები და მათი მონაგარი, მე და სრულიად საქართველოსა და ყველა დედას.

ღორი და მარბალიტის გვირგვინი

(იგავი დიდებისთვის)

ცივი, სუსხიანი შემოდგომა ზამთარს კარს უკაკუნებდა. სოფელს მარჯვენა მხრიდან ვიწრო მდინარე ჩაუდიოდა, ზემოდან კი, ფერდობის თავზე, გაშშვლებული ხეების წრე რკალად შემორტყმოდა. იქვე სოფლად, შუკის ბოლოში, პატარა ხის სახლის თავზე, ძველი თუნუქის მილის დაჟანგებული თავი მოჩანდა. სახლს ალაგ-ალაგ შემორჩენოდა აქერცლილი ცისფერი საღებავის კვალი. ამ სახლში, უშვილო ცოლ-ქმარი ცხოვრობდა და მამლის ყივილიდან დაწყებული, მთვარის ამოსვლამდე, მუხლჩაუხრელი შრომით ირჩენდნენ თავს. სულ რაღაც სამი დედალი კაკანებდა ეზოში და მათი კვეცხები იყო მათი ყოველდღიური საუზმე.

იქვე ნახევრად ნაქცეული ნალია იდგა, რომელსაც ფიცრები ისე შემოცლოდა, რომ არა ირგვლივ აკრული ძველი ტანსაცმელები, წვალებით მოყვანილი წლის საბადო, სიმინდი და რამოდენიმე კილოლა დარჩენილი მარცვლეული, ისიც დაეფანტებოდათ. სახლი შიგნით ძალიან პატარა იყო. ყრუ კუთხეში რკინის თავიან ძველ სანოლს, რომელსაც ვერცხლისფერი საფარი ისე შემოსცლოდა, ფერის გარჩევას ვეღარ შეძლებდა ადამიანი, თუ არ დააკვირდებოდა, ჩურჩხელასავით იყო ახუნძლული, უთეთრეულო ლეიბებითა და პირდახეული საბნებით.

ერთ კუთხეში პატარა ხის მაგიდა იდგა, რომელსაც დაგრეხილი მავთულით ფეხი ჰქონდა მიმაგრებული, ქვემოთ კი ორი, სხვადასხვა ზომის, ხელით შეჭედილი სკამი ჰქონდა შედგმული. ერთადერთი ფანჯარა ძველი გაზეთებით იყო შეფუთული ნახევრამდე; იქვე კუთხეში კი ძველი კარადა იდგა, რომელშიც სხვადასხვა ფორმის, ოთხი თუ ხუთი ცალი, ჭიქა და თეფში ელაგა. გვერდით რა-

მოდენიმე, ნახევრად ძირგაშავებული ქვაბი იდგა. ოთახის შუაში, ძველი თუნუქის შეშის ღუმელი იყო, რომლის მილიც, გაზეთებიანი შუშის თავზე გადიოდა.

აი, ასეთი სიდუხჭირის მიუხედავად, ცოლ-ქმრის ცხოვრება იმდენად თბილი და ტკბილი იყო, ფარჩა-აბრეშუმში გამოწყობილ, ფარშევანგის ფრთის მარაოიან ქალბატონებსაც რომ შეშურდებოდათ.

ერთხელ, დილით ქალი ფიჩხის მოსაგროვებლად გავიდა მდინარის ახლომახლო. იქვე შენიშნა ღორები, თუ როგორ ჩაგრავენ და დასცინოდნენ შუაში მომწყვდეულ, ტალახიან ღორს. შეეცოდა, მიუახლოვდა, გაუფანტა მოჩხუბარი მეგობრები; მერე კი, იქვე დინარესთან მიიყვანა და დაბანა, მოეფერა და სახლშიც წაიყვანა. მოგროვილი ფიჩხით ცეცხლი დაუნთო, მერე მის სანოლს ერთი ლეიბი გამოაცალა, იქვე ღუმელთან დაუფინა და მისივე ფორჩებიანი შალის თავსაფარიც ზედ გადააფარა.

მეუღლემ უსაყვედურა, ასე არ შეიძლება, გარეული ღორი სახლში როგორ შემოუშვიო?! ქალმაც აუხსნა, რომ ძალიან შეეცოდა, მოუყვა, სხვები როგორ ერჩუბებოდნენ და დასცინოდნენ, ეს კი მარტო იყო დარჩენილიო; თან დააყოლა, იქვე მდინარესთან როგორ გაასუფთავა და სახლში ისე წამოიყვანა.

გადიოდა დღეები და ღორიც მოშინაურდა; ბედნიერი ღიმილით უღიმოდა დიასახლისს და ფინია ლეკვივით დასდევდა ყველგან. კეთილმა ქალბატონმა შეიყვარა ეს ღორუკა და ფერადი ყვავილებით მოუხატა ტანი. ჩვენი ღორუკაც გამედიდურდა და უკვე იატაკზე დაწოლა იუკადრისა...

ერთ ღამეს, ისედაც თოხის ტარზე დაძინებულ ცოლ-ქმარს ფეხებში შეუნვა და ტკბილი ღრუტუნი დაიწყო, რომ მეტად დაემსახურებინა მათი ნდობა. ეღრუტუნებოდა ყველაზე და ყველაფერზე, თუ როგორი ბოროტები და

დაუნდობლები არიან მისი მეგობარი ღორები; ამით კი ის ძალიან აცოდებდა თავს ოჯახის დედაკაცს.

ერთ დღეს, მამლის ყივილამდე, ჩვენი კეთილი ქალბატონი ქალაქის გზას დაადგა და ლობიო წაიღო გასაყიდად ბაზარში, რომ მისი ღორუკა გაეხარებინა. უყიდა მარგალიტის თვლებიანი პრინცესას გვირგვინი, უკან მალევე დაბრუნდა და გვირგვინიც თავზე დაადგა.

იმ საღამოს შუქი წავიდა. ჭრაქში ნავთივც შემოლეულიყო და ადრინადად მოუწიათ დაძინებამ. გვირგვინიანი ღორუკა გაბრაზდა დედაკაცზე, რატომ ზღაპარი არ მომიყვავო და ჩუმად მიეპარა სანოლთან, საბანი დინგით ჩამოუცურა ტანიდან და ძირს დააგდო. ქალს, საცოდავად გაცრეცილი წინდიდან გამოშვერილი თითები დაუნახა, სიბრაზე ველარ დამალა, მიეპარა და ისე ძალიან უკბინა, საცოდავს ფეხიდან სისხლის დენა მეუღლემ მისი დახეული პერანგით შეუჩერა.

გაბრაზებული კაცი ადგილს ვერ პოულობდა დილამდე, ქალი მეუღლეს ამშვიდებდა და თხოვდა, ღორუკაზე არ გაბრაზებულიყო.

გამთენიისას ქმარმა ჩვენს გვირგვინოსანს ქამარი ყელზე გაუკეთა და ჭყვიპინ-ჭყვიპინით წაიყვანა მდინარისაკენ. იქ, სადაც დიდი ტალახი დაინახა, იქვე ჩააგდო და მიატოვა.

სახლში დაბრუნებულს მეუღლე ატირებული დახვდა. ქმარმა თავი გვერდზე მიაბრუნა, არ უნდოდა ენახებინა, რომ თუ როგორ შეებრალა მისი კეთილი, თვალცრემლიანი ქალბატონი.

სიჩუმეში გაატარეს მთელი დღე, სიჩუმე კი ბოლოს გაბრაზებულმა მეუღლემ დაარღვია და მრისხანე ტონით დაიწყო ახსნა, რომ ღორს ტალახი უფრო ურჩევნია, ვიდრე მარგალიტის თვლებით მორთული გვირგვინი!

ცხოვრებაში ყველაფერი შედარებითია!

ისმენ ამა თუ იმ ადამიანის ისტორიას და საკუთარ ცხოვრებას ადარებ. ამ დროს ეტაპობრივად ამოგიტივტივდება შენი დაშვებული შეცდომები და ცდილობ, იპოვო ისინი, ამოიკითხო ქვეცნობიერში, რომ შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ვინმე ან რამე ზუსტად ისე არ დაკარგო, როგორც მან!

ზოგადად, თუ ურთიერთობა ორმხრივად არ არის განვითარებული, ამ დროს ერთეება ე.წ. „სასწორის პრინციპი“ და იწყება ორი სხვადასხვა მხარის ერთი და იგივე საკითხზე დასკვნების გაკეთება: ან მე გავაკეთე ძალიან ბევრი, ან რატომ აკეთებს ამდენს?!

ორი - „ერთი სული“ ადამიანი, ერთმანეთს ზრდასა და განვითარებაში ეხმარება, გონებრივად და ემოციურად, რაც ჩვენი ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია, სხვა შემთხვევაში ადამიანის წინსვლა წარმოუდგენელია! ასეთი ურთიერთობის დროს მეგობრები ერთმანეთს აძლიერებენ და უდიდეს მოტივაციას აძლევენ, მიზნებს მიაღწიონ. თუ შენი ურთიერთობა ასეთია, ჩათვალე, რომ ძალიან გაგიმართლა – ასეთი მეგობარი შეინარჩუნე სამუდამოდ!

მეგობარი, რომელთანაც სასაუბრო თემა არ გაქვს და ამჯობინებ სიჩუმეს, რომ არასასურველი დიალოგიდან დისკომფორტი არ შეგექმნათ ურთიერთობაში, ვერ ვხვდები, საერთოდ, საჭიროა თუ არა!

პირველი, რომ სწორ სიჩუმეს ძალიან დიდი სწავლა სჭირდება, რომ ზუსტად ეს სიჩუმე სწორად გამოიყენო, სტაბილური ურთიერთობის შესანარჩუნებლად და მეორე, რაც გაქვს გულში თქვი, აღიარე, გაანდე, მოუყევი, განთავისუფლდი და ახალი, ბედნიერი ფურცლიდან დაიწყე!

არის მეგობრობის მრავალსახეობა: მაგალითად, დამყარებული საჭიროებაზე, მათ ერთმანეთი მხოლოდ იმისთ-

ვის სჭირდებათ, რომ კონკრეტულ მიზნებს მიაღწიონ – კარიერული ზრდა ან სოციალური სტატუსი მოიპოვონ. აი, ასეთი მეგობრობა, ერთჯერადი და მსხვრევადი, იმის გათვალისწინებითაც, რომ ორივე მხარემ იცის ერთმანეთის საჭიროება და ისიც, რომ ერთმანეთთან დარჩენას მთელი ცხოვრება სულაც არ აპირებენ და მხოლოდ იმდენ ხანს იქნებიან მეგობრები, სანამ დასახულ მიზანს არ მიაღწევენ. როდესაც თითოეული ან რომელიმე, თავის მიზანს მიაღწევს და მიიღებს იმას, რაც სურდა, ურთიერთობა მაშინვე სრულდება, მაგრამ ასეთი დასასრულის შემდეგ დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ეს დასასრული მიზეზ-შედეგობრივი იყო და რაიმე კონკრეტული არასწორი საქციელის შედეგი, თუ თავიდანვე ჰქონდათ, არასწორი „საჭიროებრივი“ მეგობრობა!

ყველა ადამიანის ბუნებაში, ეგოისტური კოდია ჩადებული, მხოლოდ ყველა ინდივიდი ამ კოდს ავლენს სხვადასხვა დოზით. აი, ეს კოდია ზუსტად მეგობრობის სამუდამოდ დამანგრეველი!

როდესაც ფიქრობს ორივე მხარე, რომ იდეალურია თავად და იგივე პიროვნების მიღება გასურს, როგორიც შენ ხარ, მეგობრისაგან, ასეთი ურთიერთობა ორივე მხარისთვის გამანადგურებელია და საკმაოდ ცუდად სრულდება!

აი, ჩემთვის ძალიან დამღლეელია მეგობრობა ლიტონი სიტყვებით, როდესაც ერთმანეთს ასხამენ ხოტბა-დიდებას, მაშინ, როდესაც ის ცოტა კარგიც გაღიზიანებს მისი, მაგრამ თვალსაჩინოებისათვის, მეგობრობას ბეჭებით მიათრევ და ეს შენთვის მძიმე ჯვარია!

ვერ ვიტან ისეთ მეგობრობას, რომელიც ნეგატივზეა აგებული, გამაღიზიანებელია, მაგრამ, გაჭირვების შემთხვევაში, სანუგეშოდ ისევ ერთმანეთს ეპოტინებიან! ჩემი ლხინი უნდა გაგიხარდეს, თორემ გაჭირვების დროს ჩემთან პირველად მტერი გამოიქცევა, სანუგეშოდ!

აი, მეგობრობა, როდესაც სასიამოვნო მომენტებზეც ჩხუბი აქვთ და მათი მსოფლმხედველობა რადიკალურად განსხვავებულია, მაგრამ მაინც აგრძელებენ - მათთვის, ვითომდა იდეალურ ურთიერთობას, აი, ასეთ მეგობრობაზე გავბრაზდე თუ გავვოცდე, ჯერ ვერ გადავწყვიტე!

„შეჯიბრზე“ დამყარებული ურთიერთობა კი გაანადგურებს ორივე მხარეს! როდესაც ერთმანეთი უყვართ და ცდილობენ, ხელი შეუწყონ ერთმანეთს ზრდასა და განვითარებაში და თან, ჩუმად, ერთმანეთს მუდმივად ეჯიბრებიან... აი, აქ საქმე უეჭველი მტრობამდე მიდის!

ჩემთვის მეგობრის წარმატება, ჩემი წარმატებაა და მათ ბედნიერებს.

იმდენად ცოტა ხნით ვართ სტუმრები, ამ სამყაროში და ყოველდღიური ფორიაქიდან გამომდინარე, აღარ გვახსოვს ჩვენი მარადიული სასუფეველი, არ ვფიქრობთ ღმერთზე, ათ მცნებაზე და არ ვითავისებთ იმას, რომ უფალი ჩვენი გულისათვის ეწამა და ცოდვების მიტევების გზაც მოგვიძებნა, ეგებ საკუთარ თავთან მაინც გავინთავისუფლოთ სინდისის ქეჯნა! გვასწავლა, რომ მივიდეთ მამაოსთან და აღსარება ჩავაბაროთ, მაგრამ ჩვენი უბედურება იმაშია, რომ აღსარებიდან უკან მობრუნებულნი, თავიდან ვიწყებთ ცოდვის მონეტების ათვლას, ვიდრე არ ავალთ ოცდაათ ვერცხლამდე!

მიტევება?! დღეს ეს რა მოსატანია, როდესაც ერთმანეთს აღარ ვინდობთ და ვწირავთ სასიკვდილოდ, ან სულიერად ან ფიზიკურად!

მე შენ მიყვარხარ, ადამიანო, და შენც შემეყვარე დღეს, იმიტომ, რომ არ მინდა, ხვალ რომ არ ვიყო, დაჯდე და იტირო არსიყვარულზე!

სარჩევი

საქრთიანო ღირსი

მოლოდინი	13
დავაგვიანეთ... ..	14
ჩემში გაბეგრებული	15
ფიქრი	16
შენით ბედნიერი.....	17
ბლის კუნწულა.....	18
ძველი შარიშურები.....	19
ჭრიჭინები.....	20
ვადაგასული დრო	21
ცა დამეკარგა	22
დილა.....	22
მთვარე უენო.....	23
ფერადი - უფერო	24
ფორტეპიანო	25
სიყვარულის ქუჩა	25
ნისლიანი რიჟრაჟი	26
თოვს	27
მოლოდინი	27
შვიდი ფერის გული	28

ღირსი

ლურჯი ფრინველი	31
„წითელი და შავი“ სტენდალი.	32
შობას გინატრე	33
აურზაური მთაში	34
მონოლოგი.....	35
ლამეს შემორჩენილი მოგონება	36
ისევ.....	36
მე ვინანიებ	37
დამსხვრეული ბროწეული.....	37
მარიტა	38
დავიღალე	38
მე და დრო.....	39
შენყვეტილი ღამე	40

გაუშვი სადმე	40
ნდობის ბადე	41
მზაკვრული მზერა.....	41
განწყობა	42
ქალის რევანში	43
მხოლოდ ერთი სიტყვა.....	44

სამშობლო ჩემო!

მენატრება საქართველო	47
დამბერებია ღიმილი შენთვის	48
გალაკტიონი დღეს იშვა ჭყვიშში	49
მომენატრე, საქართველოვ!	50
ქუთაისი	51
გულიდან საქართველომდე.....	52
მიყვარხარ ქართულად!	53
სიყვარულით ქართულობა... ..	54
ჩვენო თვალხატულა!	55
საქართველო გაბრწყინდება!	56
ქუთაისის აკადემია	58

ჩემი მონაგარი-ჩემი სიმდიდრეა

ლურჯი ღილილო	61
იმერული ქარები.....	61
ბელურასავთ ვარ მე უენო	62
დედ-შვილობა	63
შვილები	64
იარა	64
გამათბეთ, დე!	65
პანანინა ანგელოზო!	65
შოკოლადის ზღაპარსახლი	66
ლუკასი და ტასია.....	67
ჩემი სახლი.....	68

შეუცნობეია გზანი უფდისანი

ზიარება.....	71
შობის სასწაული	72
ღმერთის ძეგნაში.....	73
ცოდვას გამხელილს	74

ჩქიმი ნანა	74
მაშინ მშვიდობით!	75
ანგელოზთან	76
უფალო, მოდი ჩემთან!.....	77
შობის ღამე	78
მაპატიე სიმართლე.....	79
მესიზმრა.....	80
უფრთო ანგელოზი	80
გთხოვ ზიარებას.....	81
სულის ხიდი	82
პეტრე-პავლეს ტაძარი	83
ემიგრანტების ტკივილი!	84
„ჩვენ მერცხლებს გამოვყვებით“	85
*** ღალატის მიზეზი არ იყო მდაბიო	86
უფალო, დავიღალე!	87
უფალო, შემიწყალე!.....	88
მონანიება... ..	89
უფლის იმედად	90

მშობლებს

შენთან შეხება	93
დედას	94
ვერ გაპატიებ	95
დ ე დ ი	96
ჩემი ნახევარი შენთან მყავს, დედა!	97
ანდა ხვალ დილით, ემიგრანტი ქალი არ მერქვას	98
ამ დღეს მამამ მიმატოვა	99
ფურისულები	100

პოეზია პროზაში

ჩანახატი	103
სიყვარულის ღმერთი.....	104
გაქცევა	105
თეკლას!.....	107
ლორი და მარგალიტის გვირგვინი.....	112
ცხოვრებაში ყველაფერი შედარებითია!	115



ԸՊՐԱՅԻ ՊՐՈՍԵՅԱՆ

Ես եմ ծնունդով Երևանի մարզի Մարտիկի մարզում,
Ես եմ ծնունդով Երևանի մարզում, Երևանում,
Ես եմ ծնունդով, Երևանում, Երևանում,
Ես եմ ծնունդով, Երևանում, Երևանում...

Ես եմ ծնունդով Երևանի մարզում, Երևանում,
Ես եմ ծնունդով Երևանի մարզում, Երևանում,
Ես եմ ծնունդով, Երևանում, Երևանում,
Ես եմ ծնունդով, Երևանում, Երևանում...

Ես եմ ծնունդով Երևանի մարզում, Երևանում,
Ես եմ ծնունդով Երևանի մարզում, Երևանում,
Ես եմ ծնունդով, Երևանում, Երևանում,
Ես եմ ծնունդով, Երևանում, Երևանում...

ISBN 978-9941-9540-4-7

